

1923 ვ.

114

№ 3—4 5 1923 წელი გამოცემა




ქართველი



შინაარსი:

1) სურათი	2
2) პირველი მაისი, ლექსი—გ. ქუჩიშვილისა	3
3) როგორ წარმ. მე-3 ინტერნაციონალი—სტანლეისა	4
4) მზე პირველ გაისი, ლექსი—ნ. ზომლეთელისა	8
5) მაისი, ლექსი—ილია სიხარულიძისა	9
6) საპირველმაისო სურათი, ლექსი—ს. ერ—ლისა	10
7) ოვანეს თუმანიანი—ილია ნაკაშიძისა	13
8) გიქორ—ოვ. თუმანიანისა, თარგ. ი. გრიშაშვილისა	16
9) ჩემი სამღერა, ლექსი—ოვ. თუმანიანისა, თარგმანი ი. გრიშაშვილისა	35
10) ჩემო ყანავ, ლექსი—მიმქრალისა	36
11) ბინული, ლექსი—შიო მღვიმელისა	37
12) თილისმა ხალი—შ. ცისკარაშვილისა	38
13) დედოფალას საჩივარი—ივანე ელიაშვილისა	46
14) მაისის ოკი	50
15) ბაგშების პირველი დღესასწაული საქართველოში, მარიამ ორახელაშვილისა	51
16) ბაგშების დღესასწაული—ვ. გ.	52
17) საბაგშო თეატრი	55
18) მკითხველის წერილები	57



ქარტი, აპრილი, მაისი 1923 წ.

შელიცაძი გიორგიოს ხელი.

ტფილისი.


პოლიგრ. განყოფ. მე-3 სტამბა, კალოუბნის ქ. № 5.
№ 883 მთავსამლიტგამ № 337





ମେ-୩-୧ କୁମରନାଥରୁକୁ ଏନ୍‌ଟ୍ରେନିଙ୍‌କ୍ଲାବରୁ ଉଦ୍‌ଘାଟନାରେ
୩. ଡି. ଶ୍ରୀପାତ୍ରାଚାର୍ଯ୍ୟ—ଶ୍ରୀବିଜ୍ଞାନପତ୍ର

ବିଜ୍ଞାନପତ୍ର ମୁଦ୍ରଣ କମିଶନ୍ସୁ—ବିଜ୍ଞାନପତ୍ର



პირველი მაისი



აზაფხულდა!
გაზაფხულდა!
ამაყრულდა
მერცხალთ გუნდი!
დაიმსხრა და
დაილეჭა
სუსხიანი ზამთრის ხუნდი!
დღეს ხომ შრომის დღეობაა,
მხოლოდ შრომის გაზაფხული,
ამიტომაც გვიწვევს გარეთ
დღეს ბუნება მხიარული!

გ. ქუჩიშვილი.



როგორ წარმოიშვა მესამე ინტერნაციონალი

ჩვენ ვიცით, რომ 1864 წელს წარმოიშვა პირველი ინტერნაციონალი ქ. ლონდონში, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა მთელი ქვეყნის მუშების შეკავშირება-გაერთიანებას ბურუუზიასთან ბრძოლის მიზნით.

განვლო ხანმა კარლ მარქსის სიკვდილის შემდეგ, რომელიც პირველი ინტერნაციონალის სულისხამდგმელად ითვლებოდა და პირველი ინტერნაციონალი, როგორც მუშრი, ფხიზელი, მოძრავი ორგანო შენელდა. მაგრამ მან მაინც შეჰქნა ის დიდი საქმე, რასაც რევოლუციონურ მოძრაობაში სახელად „პარიზის კომუნა“ დაერქვა.

პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანაზე გამეფდა შავი ოვაკცია. კომუნიზმის აჩრდილის შიშით შეპყრობილმა კაპიტალისტ-მონარქებმა სასტიკად გაიღა შერეს მუშათა კლასის წინააღმდეგ. მრავალმა წელმა გაარა, მაგრამ პროლეტარიატმა — მუშათა კლასმა — ვერ იშოვა დრო ხაერთო ორგანიზაციის, შეკავშირებულ, მთლიან დაწესებულების დაძრსებისათვის. მხოლოდ პარველი ინტერნაციონალის სიკვდილიდან 15 წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი შეექმნათ შელ-ახლა მუშათა კლასის ავანგარდის გაერთიანების საერთო შორისო თრგანიზაცია.

ეს ორგანიზაცია იყო მეორე ინტერნაციონალი, რომლის ყრილობა მოხდა 1889 წ. ქ. პარიზში.

თავის არსებობის 25 წლის განმავლობაში მეორე ინ-

ტერნაციონალმა დიდი საორგანიზაციით შეშაობა ჩატარდა, რომელიც მიმართული იყო ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიების შედელებასა და მუშათა კლასის გაერთიანებისკენ. ამაში დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო პირველ მაისის დღესასწაულის შემოღებამ. ეს დღე იყო არა მარტო საერთა-შორისო სოლიდარობის დღე, არამედ პროლეტარიატის რევოლუციონურ ორგანიზაციების მომზადებისა და მიღწევათა გამორკვევის დღეც.

მეორე ინტერნაციონალი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის ომის წინააღმდეგი იყო. ყველა სოციალისტი, რომელიც მეორე ინტერნაციონალში შედიოდა, მოვალე იყო გაეწია ფართე აგიტაცია ომის წინააღმდეგ და ყოველი ზომა მიეღო ომის თავიდან ასაკილებლად. თუ ომის აცილება შეუძლებელი იქნებოდა, უნდა ცდილიყვნენ, რაც შეიძლება, ჩეხები შეეჩერებიათ იგი და გამოყენებიათ კაპიტალისტური ბატონობის დამხობის დასაჩქარებლად. მაგრამ 1914—1918 წლების კაცობრიობის მომსპობ იმპერიალისტურ ომს, რომელიც ერთი მხრივ რუსეთსა, საფრანგეთსა, ინგლისსა და იტალიის, — ხოლო მეორე მხრივ გერმანიასა, ავსტრია-უნგრეთსა და ოსმალეთს შორის წირმოებდა, მეორე ინტერნაციონალის გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ნაწილმა მხრი დაუჭირა და 1914 წელს, აგვისტოს 19-ს გერმანიის რეიხსტაგში მასის გავრცელება დადებითად გადაწყდა. ამას თან მოჰყვა სხვა ქვეყნების სოც.-კონფერენციების რეზოლუციები. ომს მხარი დაუჭირა აგრეთვე რუსეთის რევოლუციონურ და სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობის ბელაზე გ. გ. პლეხანოვმა, ხოლო საფრანგეთში გამოჩენილი სახალხო ტრიბუნი, უებრო ორატური ეან უორესი და რუსეთში კავკასიის სოც.-დემოკრატების ფრაქციის სახელით სახელმწიფო სათათბიროში კარლო ჩხეიძე წინააღმდეგი იყვნენ ამ იმპერიალისტური ომის, მაგრამ პირველი მა წინააღმდეგობისათვის პუნქტარე-კლემანსოს ავენტის მიერ მოკლულ იქმნა, ხოლო მეორე, რუსეთის თებერვლის დიდი რევოლუციის ბელაზი გახდა.

მაგრამ, რადგანაც რუსეთის რევოლუციია მუშათა კლასს აჩვენა იმის დიდი მაგალითი, რომ კაპიტალისტურ სახელმწირ-

ფოებს შორის გაჩაღებული ოში მრეწველობით ჩამორჩენილ სახელმწიფოებში უსათუოდ სიღარაკესა და სიბერივეს დაბადებდა, ხოლო ეს უკანასკნელი — ბობოქრობა-აჯანყებას, რევოლუციას გამოიწვევდა, მორე ინტერნაციონალის სოციალისტური პარტიების ნაწილმა და ჯერ კიდევ მეუმრავლესეთა (ბოლშევიკები) პარტიის წარმომადგენლებმა 1915 წელს მოიწვიეს მცირე რიცხოვანი კონფერენცია ციმმერვალდში (მცირე ქალაქია შვეიცარიაში), რომელმაც მიმართა ყველა ქვეყნის პროლეტარებს მანიფესტით და მოუწოდებლა მათ ზავისათვის რევოლუციონურ ბრძოლის დასაწყებად. 1916 წელს შესდგა მცირე კონფერენცია კიევისა (შვეიცარიაშივე), რომელმაც დაადასტურა ციმერვალდის კონფერენციის დაგენილება ოშის შეწყვეტის შესახებ.

ამ გვარად საჭირო შეიქნა ისეთი ორგანიზაციის დაარსება, რომელიც შეთანხმებულია, ამხანაგების უმრავლესობის დასტურით, შესძლებდა ებრძოლი ოშის შესაწყვეტად. სხვანაირად რომ ვსოდვათ, საჭირო შეიქნა მესამე ინტერნაციონალის დაარსება.

ამ გვარად დაარსდა მესამე ინტერნაციონალი და მას სარჩეულად დაედო იდეა რევოლუციონური ბრძოლისა, იდეა უკელვან ბურუუაზის ბატონობის დამხობისა და მთელ ქვეყნიერებაზე პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა.

როგორც პირველ ინტერნაციონალს ჰყავდა თავისი უცვლელი დარაჯი და წინამძღვრლი კარლ მარქსი და ფრ. ენგელსი, მეორეს — კარლ კაუტსკი და გ. ვ. პლეხანვი, ისე მესამე ინტერნაციონალმა წარმოშვა გმირები ვ. ი. ლენინ — ულიანოვისა და სტალინ — ჯულა შვილის სახით.

1919 წელს, მარტის პირველ რიცხვებში საბჭოთა მოსკოვში შესდგა მესამე ინტერნაციონალის პირველი კონგრესი. მესამე ინტერნაციონალს კომუნისტური იმიტომ ეწოდება, რომ იგი აერთიანებს ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს. მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესი მოხდა 1920 წ. 23 ივლისს. ეს კონგრესი იმით იყო შესანიშნავი, რომ მან მთელი ევროპის მუშებს ამცნ კომუნისტური პარტიის პროცრაში და კომუნისტურ ინტერნაციონალის შექმნა, რო-

მლის გარშემო შემოიკრიბა სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტური პარტიის შტოები.

1921 წელს შესდგა მესამე კონგრესი, რომელმაც რუსეთში მომხდარ რევოლუციის პრაქტიკულ მხარეების მიხედვით გამოიმუშავა სახელმწიფო მართვა-გამგეობის პრინციპები და მიზნები.

ამ ვარაც მესამე ინტერნაციონალი დაარსდა ფაქტურად 1915 წელს ციმერვალდში, ხოლო რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ 1917 წლის 25 იქტიომბერს ძალა-უფლება ჩინდო ხელში და სრულიად აშორა რუსეთის ხალხს რეაქციონურ თეთრი გენერლების, თავად-აზნაურობისა და ბურჟუაზიის ბატონიობა ხოლო მათ იღილის გააბარონა მუშათა კლისის და გლეხთა მასების უშუალო მოქმედებით ცოდნა და შრომა.

მუშათა ინტერნაციონალი მუდამ იქნება შრომის დამცველი და ბურჟუაზიის წინააღმდეგი.

სტანლეი.





შეკ პირველ მაისს

(საბავშო გეოვრაფიიდან)

ბა, ბავშებო! ადექით ჩქარა,
უკვე გათენდა! რა დროს ძილია...
სარკმლის გადაღმა ვარდს დამთქნარა,
მინდვრად თუ ველად მზის სიცილია...
სამყაროს ისე გამოელვიძა,
თითქოს არც იცის, თუ დღეს რა დღეა:
აურიამულდა მთლად დედამიწა,
ყველგან დროშების წითელი ტყეა!..

ურალის მთიდან დაიწყო მზემ და
კარპატამდე სულ ეტლით იფრინა,
იქ შესასვენად ცოტა შეჩერდა
და ძველს ევროპას წითლად შესცინა...
მოართვეს ხელად ავტომობილი,

დასტოვა ვენა და ამსტერდამი,
ბერლინ, პარიზ და ლონდონ ცნობილი
მან გადაჭროლა, ვით ერთი წამი!..

იქ ცეცხლის გეზი გამოიწერა,
გეზი აღლო ნიუორკისკენ,
ზღვა ატლანტიკის მით გადაჰსერი
და სან-ფრანცისკო მოიგდო თვისკენ.

გადაეშვა წყნარ ოკეანეში,
იქ ყველა კუნძულს ცეცხლი ასხურა,
აანთო შამოს ყვითელი ხრეში
და კვლავ ურალზე დაისადგურა!..

6. ზომლეოთელი.


მაისი


ყოველგან შრომა, დამტკრთხალი ძილი!..
მიწას მკერდს უთბობს მხის ნაპერწკლები;
ყვავილების თვე! ფრინველთ ქორწილი:
შაშვი, გუგული, ჩხართვი, მერცხლები.

მდელოს სიმწვანე, ჯეჯილის ღელვა,
ხეების ჩრდილი, ტყე შეფარჩული;
გავსილი წყლები, შიგ შუქის ელვა,
და ხშირ ფოთლებში სიოს ჩურჩული.

მზით მთვრალმა მიწამ უხვი მკერდიდან
სულ ყველაფერი აღმოაცენა...
მოქრის, მოიმღერის ჩანჩქერი მთიდან:
„შრომა და ლხენა, შრომა და ლხენა“!!

ილია სიხარულიძე.





୮୮

କାନ୍ତିରୁଦ୍ଧେଲ୍ଲମାନେଶ୍ଵର କୃତି

ଫିଠେଲି ବ୍ରନ୍ଦିତ ଗାନ୍ଧିଲି ଫରନ ଶେବି...
 ଅଳ-ମନ୍ଦ୍ରେଖୁଲି ପ୍ରକ୍ଷେପି ନେବା...
 ତୋରୁଜୀବ ପ୍ରକାନ୍ତି ମନ୍ଦିରିନ୍ଦ୍ରି ଫରନ ଶେବି...—
 ଅଥ ଫଳିବ ପ୍ରକାନ୍ତିର ପାଦ ପାଦ ପାଦ ପାଦ...
 ପାଦ ପାଦ ପାଦ ପାଦ...
 ପାଦ ପାଦ ପାଦ ପାଦ...
 ପାଦ ପାଦ ପାଦ ପାଦ...
 ପାଦ ପାଦ ପାଦ ପାଦ...

ରୁକ୍ଷିନୀତ ନାକ୍ଷେତ୍ର ପାଦ ସାଲତ୍ରେବି...
 ମାର୍ଦାଦୀନୁଲି ମନ୍ଦିରା, ଶେବିନ୍ଦା...
 ପ୍ରବାହିଲତା ଶମ୍ରିବି, କାଲି ପ୍ରକାନ୍ତି
 ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି ପ୍ରକାନ୍ତି ଶେବିନ୍ଦା...

ତାଙ୍ଗିଲୁହିଲେବିତ ନାଜୁରିତିବ ମୁଶିବିଲୁ
 ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି ଅମାତ୍ରର୍ଯ୍ୟନ୍ଦି...
 ଲାଲି ଶୁରୁବାଲି ମଧ୍ୟରୁଗ୍ରିନ୍ଦାବ କୁର୍ବିବିଲୁ—
 ମନୁଷ୍ୟନାରି ପ୍ରପଦିଲୁବ ନେବି...

ଫିଠେଲ-ମନ୍ଦିରାଶ୍ରମିଲି, ମୁଶିଲି ଦା ଗଲେକିଲୁ
 ମନୁରି ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି, ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି...
 ମୁଶିଲି ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି ମଧ୍ୟରି ମୁଶିଲି ମୁଶିଲି;
 ମନୁଷ୍ୟନାରି ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି ଦାତନା, ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି...

ନିର୍ମଳନାପିନିନାଲୁ ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି...
 ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି...
 ଅନ୍ତିମ ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି
 ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି, ପାଦମନନ୍ଦାକୁଣ୍ଡି...



ბუნებას შვერის ხავერდის თექა
მწვანე ყურთმაჯა წითელი ღალი;
ყველგან ხმაური, გუგუნი, კექა
აღმოუცნბი ლამაზ ღიმილით...


დაუტვენელი ხალხი, ზღვაური
აღტაცებების ვწებიან ქარში...
ტაში... იმედი... და უცნაური
ცეკვა, მუსიკა, ნეტარი მარში...

შშრომელთ რიგების თვალიერება,
უკვლავ მერმისის ხოტბა, ღიღებად...
ყველგან სჩანს შშრომელთ გაძლიერება,
მარად მზა-მყოფი ცეცხლის კიდებად...

და ამ ზეიმში ქებად გაისმის
სანეტარეო შრომის ძახილი,
დღეს მაშვრალთ დღე,—ტურთა მასის
ცად იხატება ელვის მახვილი!..

ს. ერ—ლი.





ოვანეს თუმანიანი

რა ქვეყანაშიაც უნდა წახვიდეთ, ყოველთვის იგრძნობთ,
 ციფად, თუ თბილი გულით დაგხვდათ იქაური ხალხი. გულის
 თბილი შუქი ყოველთვის სახესა და თვალებში გამოჰქონის
 აღამიანს. შორეული ხალხის კეთილი დახვედრა სამუდამოდ
 საამო მოგონებად ალგებრეტებათ გულში. რამდენად უფრო
 ძვირფასია ამ მხრივ ჩვენთვის მოსიყვარულე, ჩვენდამი კეთი-
 ლად განწყობილი, მუდამ ჩვენ გვერდით მყოფი მეზობელი.
 ასეთი საშუალოდ ჩვენთვის ძვირფასი აღამიანი დავკარგეთ
 ამას წინად—თავისი ერის, სომხების, ქართველების და საერ-
 თოდ აღამიანის ღრმა მოსიყვარულე სომხის სახელ-განთქმუ-
 ლი პოეტი ოვანეს თუმანიანი.

როცა პირველად გავიცანი ოვანესი, იმისმა თვალებმა
 და ტკბილმა, ხალისიანმა ღიმილმა თითქო ერთბაშად იმისი
 თბილი გულის კარი გამიღო, გამათბო და მიმიზიდა. ამი-
 ტომაც მტკივა გული, როცა გამახსენდება, რომ ეს შესანი-
 შნავი აღამიანი ცოცხლებში აღარ არის, სამუდამოდ მოშო-
 რდა ამ ჩვენ წუთისოფელს.

ოვანეს თუმანიანი დაიბადა სოფ. დსელში (ლორის მაზრა)
 1869 წ. ეს მთავრობიანი ნაწილია სომხეთისა. თუმანიანი სომხე-
 ბის აკაკი წერეთელია. ბავშვობიდან, ჩვენი აკაკისავით, იგი სოფ-
 ლის ხალხთან ცხოვრობდა; უყვარდა ეს ხალხი, ამიტომ ღრმად
 შეითვისა იმისი ცოცხალი, მხატვრული და ამავე დროს უბრა-
 ლო ენა. ამიტომაც ვინც იცნობს ოვანეს თუმანიანის პოე-
 ზიას, იმის ლექსებსა და პოემებს, ყველა ერთხმად ამბობს,
 რომ უცხოელი მკითხველი იმის პოეზიიდან უფრო ღრმად
 და კარგად გაიცნობს სომხეთის სოფლის ხალხის ცხოვრე-
 ბას, ვიდრე მრავალ მსხვილ-ტანიან წიგნებიდანამ. თუმანია-
 ნის პოემებში უბრალო და მხატვრული ენით აწერილია სამ-
 შობლო ხალხის ზეგ-ჩვეულება, მისი გულის წადილი, მისი
 კირი და ლხინი. ხალხური ზღაპრები, პოეტური თქმულება-
 გადმოცემანი, ლეგენდები სომხის ერისა—ის ის ძვირფასი
 მარგალიტები რომელიც სიყრმიდან აკრიფა ოვანესმა თავის

სამშობლო ხალში, თავის პოემებში აკინძა და ძვირფას გან-
ძაღლ დაუტოვა თავის ერსა და მოელ კაცობრიობას.

ოვანეს თუმანიანის ყველაზე ძვირფასი ნაწერი—მისი
დიდი პოემებია. მათ შორის ყველაზე უკეთესს — „ანუში“ ჰქვია.
ამ პოემაში ცოცხალი, ხხატვრული ენით დასურათებულია სომ-
ხების სოფელი ზამთარში, ხალხური ქორწინება, დღესასწაუ-
ლი—ამაღლება ქრისტესი, ხალხის ლხინი და ზეიმი, სიმღე-
რა და მხიარულება, დახატულია ზაფხული, საძოვრები მთებ-
ში, სომებ მწყემსების ყოფა-ცხოვრება.

მშობლები სამღვდლოდ ამზადებდნენ ოვანესს, მაგრამ იმი-
სი გული ეურჩებოდა მშობლების გულის წადილს, და ოგი
სიკვდილამდის ერის კაკად დარჩა.

უკვე მოწიფეული ვაჟკაცი, ოვანეს თუმანიანი, ჩვენ ტფი-
ლისში ცხოვრობს. დიდი ბრძოლა გამოიარა პოეტმა იმის
გამო, რომ იმან უბრილო ხალხური ენა შეიტანა პოეზიაში.
მაგრამ სიყვარული ბოლოს და ბოლოს უდიდესი, მძლეთა-
მძლე გრძნობაა. ოვანესმა თანდათან შემოიკრიბა თვის გარ-
შემო მისი თანამგრძნობი ხალხი, სომხის მწერლები და სა-
ზოგადო მოღვაწენი.

ძველი და ახალი დრო, სომხეთის წარსული და დღე-
ვანდელი ცხოვრება, ცოცხლიდ დაკავშირებულია ოვანესის
ნაწერებში. პოეტს გული სტკივა არა მარტო შაშინ, როცა
თავის თვალით ჰქედავს მის გარშემო მცხოვრებ სოფლის ხა-
ლხის გაჭირვებულ ყოფას. იმან იყის, რა ტანჯვა-მწუხარე-
ბას განიცდიან მისი შორეული მოძმეებიც—ძველის დროი-
დან ოსმალეთში მცხოვრები სომხები და იმათაც უძლვნის
თავისი გულის სიყვარულსა და თანაგრძნობას.

ბავშვები თავის დღეში არ აკიშყდება ჩვენ ძვირფას პო-
ეტს. მრავალი ნაწერი დაუტოვა მან ბავშვებს — გალექსილი
ზღაპრები, ხალხური თქმულება-ლეგენდები და ამბები პრო-
ზათ. შეის შუქით გამობარი ბავშობა გამოიარა პოეტმა და
ამიტომ გულით სწყურია, რომ ყველა ბავშვების ცხოვრებაც
ბევრი იქნების შუქით გამობარი იყოს. წაიკითხეთ ჩვენი ურ-
ნალის ამ ნომერში დაბეჭდილი მისი საუცხოო მოთხრობა
სოფლის ბავშის ცხოვრებიდან „გიქორი“ და ლექსი („ჩემი

სიმღერა"), რომელშიაც გამოთქმულია პოეტის უნაზესი სულის კვეთება. ის ოქვენ თვითონ დარწმუნდებით. როგორ უკვლება გული პოეტს, როცა ხმაურობითა და ყოველნიშნი ტლანქი გაიძვერობით აღსავს ქალაქში სოფელს მოწყვეტილ გლეხის ბაჟშვის ტანჯულ ყოფას აგვიწერს. პოეტისა და ამ ბაჟშვის გული ერთი გრძინებით ჰქონდება და ცოცხლობს. ამაშია მგრძნობიარე პოეზიის უფიდესი ძალა.

ოვანესი ჩვენ, ქართველების, წრფელი მეგობარი, მუდამ-ებს მოსიყვარულე მეზობელი იყო. თავის დღეში არ დამავიწყდება როგორ აღშფუთებული შემოვარდა იგი ჩემთან, როცა ჩვენსა და სომხის ხალხს შორის ომი დაიწყო. რა ვწეათ, როგორ უშველოთ ძველის დროიდან ჩვენ მომდე მეზობელ ერებსაო, როგორ ავაცინოთ ეს საშინელი ფარერაკიო? რა უნდა გვეჩნა, რას გავაწყობდით იმ დროში, როცა ხელოვნურად შეხურებული მძულვარება ძმების სიხლის ღვრაში გამოიხატა. სიყვარელმა ოვანესმა კი მაინც შემძრა. დავიწყეთ სიჩილი ქართველ და სომებ მოლვაწეთა შორის. რასაკვირველია ვერაფერს მივაღწიეთ, მაგრამ მე მაინც დიდი სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, რადგან იმ წუთუ მე უფრო ღრმად განვკვრიტე, ვისი გული ჰქონდება ჩემ გვერდით. მე ვიგრძენ, რომ იმ გულში არ იყო გარჩევა ქართველისა და სომხის შორის, რომ მას ერთნაირად უყვარდა ყველა აღამიანი, ეროვნების გარეშე, იქიდან გამოკრთოდა ის ყველაზე ძვირფასი შუქი აღამიანური სიყვარულისა, რომელიც მზის შუქსავით ერთნაირად ეფინება მთელ მსოფლისა და კაცობრიობას.

ილია ნაკაშიძე.

მინაწერი: ოფიციალური თუმანიანი გარდაიცვალა 1923 წ. მარტის 23-ს მოსკოვში, სადაც საექიმოდ იყო წასული. განსვენებულის ნებული მოსკოვიდან რფილისში იქმნა ჩამოსვენებული და სომხის საზოგადოებამ იგი დაკრძალა 1923 წ. აპრილის 15-ს ხოჯივანქის საფლაოზე.

განსვენებული იყო სულ 54 წლისა.

რედ





ო. თუმანიანი.

გიქორ



ლეხეკაც ჰაშბოს ქოხში ერთი აურ-ზაური
იყო.

ჰაშბომ, მოინდომა თავისი თორმეტი
წლის ვაჟის—გიქორას—ქალაქში წაყვა-
ნა, რომ რამე ხელობა შეესწავლა და
კაცი გამოსულიყო.

გიქორის დედა კი ეშინაალმდევებო-
და თავის ქმარს და ქვითინით ამბობდა:

— მოიგონა რაღა! უსუსური ბავში
იმ დასაქცევ ქვეყანაში უნდა ჩაალპოს.

ჰაშბო თავის გადაწყვეტილების მტკი-

ციდ იცავდა.

ერთ შვენიერ, მაგრამ მოწყენილ დილას შინაურებში
და მეზობლებში გიქორა სოფლის საზღვრამდე გააცილეს,
ორივე ლოყები დაუკოცნეს და ლოცვა-კურთხევით ქალაქი-
სკენ გაისტუმრეს.

გიქორის პატარა და—ზანი—სტიროდა, ხოლო ძმა—
გალო—რომელიც დედას ხელში ჰყავდა აყვანილი, ტიტინებდა:

— გიქორო! საით, გიქორო!

გიქორი მოწყენილი გაუდგა გზას, თვალები კი სახლის-
კენ რჩებოდა.

დიღხხნს მოჩანდა სოფლის განაპირას ნათესავებ შორის
გიქორას დედა, რომელიც წინსაფარით იწმენდდა ცრემლებს.

გიქორი ხან წინ გაუსწრებდა თავის მამას, ხან კი ფეხ-დაფეხ მისდევდა. აი, უკანასკნელიდ მიიჩედა—უნდოდა ერ-თხელ კიდევ დაენახა თავისი სოფელი, მაგრამ ის უკვე გო-რაკებს ამოშფარებოდა.

ცოტა ხანს შემდეგ გიქორამ ნაბიჯს უკლო.

— აბა, გიქორჯან, მარდალ, ცოტა კიდევ მოუმატე ნა-ბიჯს და მალე ვიქნებით ქალაქში.—ამხნევებდა თავის ვაჟს ჰამბო.

თვითონ მხრებზე ხურჯინი გადაეგდო. რომელშიც საგზა-ოდ ჩაეწყო პური, ყველი და ცოტაოდენი წეკო ჩიბუჩისთვის.

სალამო ჟამს, უღელტეხილ-
ზე გადასვლის დროს, მტრე-
დისფერ ღრუბლებში გამოჩნდა



გიქორას სოფელი.

— მამილო, მამილო, ა, ჩეენი ქოხი! — წამოიძახა გი-ქორამ და თითით ანიშნებდა, მაგრამ ცისდასავალზე არავი-თარი ქოხი არ მოსჩანდა.

შემოალამდათ. მიუახლოვდნენ ერთერთ სოფელს და აქ ესტუმრნენ თავიანთ ნაცნობს.

ტახტზე ყვითელი სამოვარი შიშინებდა. ყმაწვილი ქალი ჩაის სამზადისში იყო: რეცხავდა ჭიქებს და ასხამდა ჩაის. დიასახლისს ეცვა წითელი, ლამაზი კაბა. გიქორმა დაინახა თუ არა ეს კაბა, საშინლად მოიწონა და გულში გადასწყვი-ტა: როგორც კა ფულს ვიშვი, სწორედ ამისთანა კაბას ვი-ყიდი და ჩემს დას—ზანის—გავუგზავნიო.

ვახშის შემდეგ სტუმარ-მასპინძელი ტახტზე წამოწვნენ,
ჩიბუხებს მოუკიდეს და მასლათი დაიწყეს.

ლაპარაკობდნენ ჯერ გიქორის მომავალზე, მერე გადა-
ვიღნენ ომზე, სიძვირეზე და სხვ. გიქორი უსმენდა—უსმენდა
და მოქანცულს იქვე მიეძინა.

შეორე დღეს, როგორც იყო ქალაქს მიაღწიეს და ნაც-
ნობ მოხუც მეჯინიბესთან ბინა დაიდეს.

დილით მამა და შვილმა ბაზრისკენ ჩაიარეს.

— ეი, ძმობილო! ადგილზე ხომ არ გინდა დააყენო ეგ
ბავშვი?—ჰკიოთხა ერთმა მედუქნებ.

— დიახ! უპასუხა ჰამბომ და ხელი მოჰკიდა თავის შვილს.

— მაშ ჩემთან დააყენე რალა! უთხრა ვაჭარმა.

ეს იყო ბაზაზი არტემი.

2

თანახმად პირობისა გიქორი ვალდებული იყო ერთი წლის
განმავლობაში დაეხვეტა ოთახები, აელაგებინა ჭურქელი, ფეხ-
საცმელი ეწმინდა და სახლიდან დუქანში სადილი ეზიდა;
ერთი სიტყვით—აესრულებინა ყოველივე წვრილმანი საქმე—
ხოლო ერთი წლის შემდეგ გიქორი უნდა გადასულიყო დუ-
ქანში და ასე თანდათანობით მას ელოდდა წარჩინება.

— ხუთი წლის განმავლობაში არაფერს არ მოგცემ,—
გამოთხვების ღროს უთხრა ვაჭარმა ჰამბოს.—საკა სამირთა-
ლია, პირიქით, შენ უნდა მომცე, რომ შენს შვილს რამე შე-
ვასწავლო. ეგ ხომ ჯერ მთლად უვიცია, გამოუცდელი...

— მართალსა ბრძანებთ, აღავ! ეგრეც რომ არ იყოს,
მაშინ ხომ თქვენთანაც არ დამჭირდებოდა ამის ჩამოყანა...
იმიტომ გაბარებთ ჩემს შვილს, რომ იქნება გონება გაეხსნას,
ცოტა ჭკუა შეიძინოს...

— შეიძენს და აგრე! ნიკოლას იცნობ? ისიც თქვენე-
ბურია აი! შეგირდათ მყავდა. ღიღი ხანი არ არის, რაც დუ-
ქანი გააღო, ყველაფერი ეს ხომ ჩემის წყალობით მოხდა!
თუმცა ბოლო ღროს, მართალია, პირი შეირცხვინა. ისე რა-
ღა... ერთი წყვილი ჩაის კოვზი საღლაც გააქრო და კიდევ
რაღაც-რაღაცები აწაპნა.

— ვაიმე! ვაიმე! აბა რასა ბრძანებთ! ჩემი შვილი და

ქურდობა? ერთი გაბედოს: ქეჩოში ხელს წავავლებ და პირ-
დაპირ მტკვარში გადავუძახებ.

— ჰო, ვნახოთ! თუ ხელმრუდე არ იქნება, იჩისთვისაც
ხეირია.

— აკი მეც იმიტომ ვცდილობ, რომ ხეირიანი შვილი
გამომიყიდეს: იწვავლოს სიტყვა-პასუხი, არ დარჩეს უცოდი-
ნირი, იცოდეს ვის როგორ დაუხვდეს. ოდი მსურს ჩემი
შვილი მე დამემზევს ხსოვს და მთელი თავისი სიცოცხლე გა-
ატაროს ტანჯვასა და ვაებაში. მაინც და მაინც არც ისეთი
ხეპრეა ჩემი ბავშვი, სოფლის სკოლაში ანბანსა სწავლობდა.
ცოტა რამე ესმის.. ოღონდ გეხვეწებით — არ დასტოვოთ
უყურადღებოდ... ხომ მოგეხსენებათ, ხამია, პატარა...

ვაჭარმა დაამშვიდა გიქორის მათა, დაპირდა მზრუნვე-
ლობას და წასვლისას უბრძანა შინაურებს:

— დაალევინეთ ამათ ჩა!

3

მამა და შვილი ისხდნენ ვაჭარ არტემის სამზარეულოში.

— აბა შვილო გიქორი: შენ იცი, როგორც მასახელებ! ვნახოთ, რა გამოვა შენგან. იყავი გამრჯვე, მუყაითი. ღმერ-
თო, შენ მომიმართე ხელი... წაიბუტბუტა ჰამბომ და თან
წეკოთი ჩიბუხი გასტენა.

გიქორი კი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

— მამილო, რატომ არ არის აქ ბუხარი?

— ესენი, შვილო, ღუმელს ანთებენ. აი, მოდი, გა-
ჩვენებ...

— არც კალო აქვთ?

— რის კალო! რა კალო! ეს ქალიაქია, შვილო! აქ გლე-
ხები ხომ არ სცხოვრობენ, რომ ლეწონ და ანიავონ!?

— მაშ პური საიდან აქვთ?

— ყიდულობენ, ჩემო კარგო! ფულით ყიდულობენ:
რძეს, კარაქს, შეშას; წყალი რა არის — იმაშიაც კი ფულს
იხდიან.

— ვა!

— მაშ რა გეგონა! ეს, შვილონიასა, ტფილისა, შენ
უოჩალად იყავ და მაგისთანებს გაიგებ!!

— მამილო, ეკლესია? ეკლესიაც აქვთ ამათ?

— როგორ არა! ესენიც ხომ ქრისტიანები არიან ჩვენსავთ!... მიფრთხილდი კი, ხელმრუდობა არ გასწიო! შენს გამოსაცდელად, შეიძლება, განგებ ფული დააგდონ ძირს— არ მიყეარო და, თუ აიღებ, უსათუოდ ქალბატონს ან ბატონს მიურბენინე და უთხარი, რომ იპოვნე, თორემ...

— აქ პრისტავებიც არიან?

— მაშ როგორ გგონია! უდროოდ აქეთ-იქით არ დაიწყო ხეტიალი; თუ ხელში ჩაგიგარდეს ფული, არ გაფლანგო, გახსოვდეს, ჩვენი სილარიბე. თავს გაუფრთხილდი, არ გაცივდე, თუ ვისმე ჩვენებურს შეხვდე, უსათუოდ ბარათი გამოატანეს...

ასე არიგებდა ჰამბო თავის ვაუს. ხამუშ-ხამუშ პირიდან ჩიბუხს გააბოლებდა და ულვაშებზე გადისვიმდა. გიქორი კი სთვლემდა.

— საჭმელად მოგცემენ ნასუფრალს—მონარჩენებს, ნამტვრევებს, მოხდება ისიც, რომ თვითონ ისაღილებენ და შენ არაუერს დაგიტოვებენ! რა ვუყოთ, მოსამსახურის ხვედრი ასეთია, უნდა მოითმინო... დღე დღეს გაჰყება, დაღმიება—გათენდება და გაივლის... განაგრძობდა მამა თავის დარიგებას, გიქორას კი თავის მამის მხარზე თავი დაეხარა და ტკბილად ეძინა.

4

არტემა ვაჭარი და მისი ცოლი ერთმანეთს ეკამათებონენ. ცოლი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მსახური მოუხეშავი გამოდგა, გამოუცდელი სოფლელი; ქმარს კი უხაროდა, რომ ხუთი წლის განმავლობაში მოსამსახურე უფასოდ ეყოლებოდა.

— შეეჩევა, მთელი საუკუნე ხომ არ იქნება ეგეთი!— არწმუნებდა არტემა თავის ცოლს.

— შეეჩევა, შვილო, აბა ტყუილ-ლბრალოდ გულს რაზედ იშუოთებ? ემუდარებოდა დედამთილი.

მაგრამ ნატო არა სცხრებოდა და ცრემლმორეული თავის ბედს სწყევლიდა...



5

გიქორი უკვე სამსახურშია. ზის ვაჭარ არტემის სამზარეულოში.

თავზე ბატონის ძველი ქუდი აქვს ჩამოფხატული, აცვია ბატონისავე გამონაცვალი წალები, ლურჯი ხალათი... ერთი სიტყვით, თავიდან ფეხებამდე გამოცვლილია.

ზის სამზარეულოში გიქორა და ფიქრობს, თუ რად წამოვიდა სოფლიდან, როგორ მოიქცეს, რა გააკეთოს?

შემოდის ქალბატონი ნატო.

გიქორი იქვე ზის.

ქალბატონმა რაღაცა წაილაპარაკა.

გიქორმა ვერაფერი გაიგო..

— შენ გელაპარაკებიან, დათვის ბელო!

გიქორი შეკრთა. გიქორი ოფლში გაიწურა. სურდა შეპკითხებოდა, მაგრამ ვერ გაბედა.. ქალბატონი გაანჩხლდა და სამზარეულოდან გავარდა:

— ეს არ გასახარელი! ეს ხეპრე! ეს სამიშე! რა უბედურებაა ჩემს თავზე: ელაპარაკები, ის კი ადგილიდან არ იძვრის და კრინტსაც არა სძრავს.

„ახლა კი მოვიდა ჩემი ალსასრული,—გაიფიქრა გიქორამ,—ნუ თუ ასე მალე და ასე ცუდად უნდა გათავებულიყო ყოველივე? რა მეშვეობა ახლა? მამა მაინც მყავდეს აქ..“

ვიდრე გიქორი ფიქრებში იყო ჩაფლული, სამზარეულოში ბუზლუნით შემოვიდა ვაჭარ არტემის დედა.

— აბა, რატომ, არა დგები, როცა ქალბატონი შემოდის?—ასწავლიდა დიდი ქალბატონი.—როცა რასმე გკითხავენ, უნდა პასუხი მისცე ხოლმე. ეგრე ხომ არ შეიძლება? მოხუცი ასწავლიდა გიქორს, თუ როგორ იღვმევა სამოვარი, როგორ უნდა გასწმინდოს წალები და დარეცხოს ჭურჭელი...

გარდა ამ კეთილ მოხუცისა, დანარჩენი მხოლოდ სტანჯავდნენ გიქორს..

დუქანში ბიჭები აბუჩად იგდებდნენ და მეტსახელად „სიას“ ეძახდნენ. ხან თავში ჩაჰკრავდნენ, ხან ცხვირს დაუჭერდნენ და ხან კი ქუდს ჩამოფხატავდნენ ხოლმე თვალებზე,

ყოველსავე ამას აიტანდა გიქორი, რომ შიმშილს არ შეეწუხებინა. უჭმელობა კი მეტის მეტად აწუხებდა.

რა კარგი იყო სოფლად! თავის სახლში! როცა მოშივ-დებოდა, გიქორი ამოიღებდა კიდობნიდან პურს, ქილიდან ყველს, იქვე სჭამდა და მერე გაიქცევოდა მინდორში სათა-მაშოდ, ერთ დიდ ყუას კიდევ იღლიაში ამოიჩრიდა: იქ სა-დმე ხის ქვეშ წყაროსთან ჩამოჯდებოდა და გულიანად შე-ექცეოდა ხოლმე; აქ კი სულ სხვა წესები იყო შემოღებული:

რაც უნდა მშიერი ყოფილიყავი შუაღლებდე უნდა მო-გეთმინა და გიქორას რიგი კი სულ უკანასკნელი იყო. ეს დაწყევლილი საღილობის საათი ისე გაჭიანურდებოდა, რომ ჩვენს გიქორს გული უწუხდებოდა!

პირველ ხანებში ითმენდა, მერე კი დაიწყო სუსნაობა. რაც კი ხელში მოხვდებოდა საღილობამდე, — პურის ნამცეცო-იქნებოდა ეს, თუ გამოხრული ძვალი, — ყველაფერს ეტანე-ბოდა. მერე დაიწყო განჯინებში ფათური და ბოლოს ისე შეეჩვია მსუნავობას, რომ ქვაბებიდანც კი იღებდა მოუხარ-შავ ხორცს და სჭამდა ხოლმე.

მაგრამ რომ შეამჩნიონ? მაშინ? რასაკვირველია, ცუდად დათავდება საჭმე! აშკარაა, დაიჭერენ.. როგორ მოიქცეს? გა-იპაროს? ვისთან? როგორ? იცის გზაკვალი თავის სოფლისა? იცნობს ვისმე? მამა! საბრალო მამა... როგორ ემუდარებო-და, როგორ არიგებდა, როგორ ანუგეშებდა: „დღე დღეს გაჰ-ყვება, შვილო, დაღამდება, გათენდება და... გაივლის“... გიქორას თითქოს ახლაც ესმოდა ყურებში მამის სიტყვები: „დღე-დღეს გაჰყვება შვილო, დაღამდება, გათენდება და... გაივლის...“

6

ვიღამაც დარეკა.

გიქორას ნაბრძანები ჰქონდა, ვიდრე კარს გააღებდა, აღრევე შეეტყო, თუ ვინ მოვიდა და რისთვის! გიქორი გა-ვიდა აივანზე და დაინახა უცნობი ხალხი.

— ეი, თქვენ, ვინა ხართ? — გადასძახა აივნიდან.

სტუმრებმა ახედეს მოსამსახურებს. ქალებმი გაიცინეს, ხო-ლო ერთმა მამაკაცმა გაისწორა სათვალე და ჰკითხა:

- ქალბატონი ხომ შინაა?
- რა გნებავთ მერე?
- შენ ვკითხავენ შინაა, თუ არა? — გაჯავრდა სტუმარი.
- თქვენ რა საქმეზე მოსულხართ?

ხმაურობაზე გამოვიდა ქალბატონი.

— აი, დაგწყვევლოს მამაზეც ციცერი. ჩადი ჩქარა და კარი გაუღე! — ჯავრობდა ქალბატონი, ლანძღვლა უვიც მოსამსახურეს და ზედაც თავისი ქმარი მიაყოლა.

სტუმრები გამოჩნდნენ. დიასახლისი ნაძალადევი ღიმილით მიეგება:

— ააა, მობრძანდით, მობრძანდით! რამდენი ხანია, არ გვინახიოგხართ... რად დაგვივიშვეთ?

— ეს ჰოტროველა სად ვიშოვიათ? — ეკითხებოდა ერთი სტუმარი დიასახლისს, სხვები კი დაცინვით ზვერავდნენ საწყალ გიქორს.

— თუ ეკრე გშურთ, შემიძლიან დაგითმოთ, — ღიმილითვე შეეხუმრა დიასახლისი და სიცილ-ხარხარით შევიდნენ სადარბაზო ოთახში.

გიქორი ნატომ სადღაც გაგზავნა.

პირველი მისალმების შემდეგ სჯაბაასის საგნად ისევ გიქორი გახდა.

— ო, ნულარ მკათხავთ. სისხლი გამიშრო მაგ გლეხაჭუამ, — შესჩივლა ნატომ სტუმრებს. — რომ იცოდეთ, რამდენ ტანჯვას ვიტან მაგის გულისოვეის. მინდა დავითხოვო, მაგრამ არტემა არ მანებებს, ხომ მოგეხსენებათ ჩემი ქმრის ხასიათი: „საწყალიაო, სოფლის ბიჭია და რა მოეთხოვებაო, ერთ ლუკმა პურს ნუ გამოვაცლით, გაიზრდება და გამოსწორდებაო!“ მაგრამ როდემდის. მე კი ჩემი დამემართა და.

— ოჳ-ოჳ-ოჳ! ნუ იტყვით, ნუ იტყვით! ეს მოსამსახურები ნამდვილი უბედურებაა ჩვენთვის, — გაისძა ყოველმხრივ ქალებში და ლაპარაკი გადავიდა საერთოდ მოსამსახურებზე, ახალ ამბებზე და როგორც ეს ლედაკაცებს სჩვევით, სხვადასხვა წვრილმანებზე.

სწორედ ამ დროს მთლად თფლში გაწუწული მოვარდა გიქორი.

— ქალბატონო ხილი მოვიტანე...

— კარგი! წადი! — წაილულლულა ალექსილმა ნატომ, ხოლო სტუმრებში კი გიქორის სიტყვებმა ერთი სიცილ-ხარხარი გამოიწვია.

— ალუბალზე კი აღამ ბრძანა ძვირია და ნუ იყიდიო...

ზოგიერთმა ქალმა სიცილის შესაკავებლად ცხვირსახო-ცი მიიფარა პირზე, ხოლო დანარჩენები — უხერხულობის და-საფარისად ამბობდნენ, რომ მართლაც ალუბალი ძალიან ძვი-რია და ეხლა ვიღა ყიდულობსო. შემდევ უსაყველურეს ღია-სახლისს: რა საჭიროა ხილი? მარცდამაინც ხილის გულის-თვის ხომ არ მოესულვართო.

დარცხვენილი დიასახლისი ცდილობდა საქმის გამოსწო-რებას:

— ღმერთმა უწყის, რა უთხრეს და ამ ბრიყვმა კი რო-გორ გაიგო.

— აი აქვე მიწა გამისკდეს, თუ ვტყუოდე ქალბატო-ნო, — მიამიტად დაიფიცა გიქორამ.

7

ნატომ გააცილა სტუმრები. გაალმასებული თავისთავს ელაპარაკებოდა და თან სუფრის ალაგებდა. ჰერულავდა გი-ქორს, იგონებდა ბიჭის უმზგავს საქციელს, სწყევლიდა ყა-მათს და თავის მეულლეს.

— ნუ ჯავრობ, შვილო, ყველაფერი გამოკეთდება!.. ეგ ჯერ ხომ ხამია... შეეჩევა და ყველაფერი თავის რიგზე იქნება... ო, ღმერთო ჩემო, ნეტა როდის მელირსება სიკვ-დლი... — ჰკვნესოდა მოხუცი დედამთილი...

— იპოვნე რაღა სალაპარაკო ღრი; ხამია! თუ ხამია, ადექით და თქვენ გააკეთოთ მაგის საქმე. მე თქვენი ყმა კი არა ვარ! — რძალეა ხმა აუმალო და ქმრის მოსვლამდე სულ ბუზლუნებდა და იშუევლებოდა.

— როცა მოისმა არტემის ფეხის ხმა, ნატომ უფრო და უფ-რო აახმაურა,

— გითხარი, დაითხოვე მეთქი, დაითხოვე მეთქი! თუ წესიერი მოსამსახურისთვის ფული არ გემეტება, მე ვიმუშა-ვებ ამის მაგივრად. სჯობია უმოსამსახუროდ ვიყო, ვიღრე

ცისმარე დღე ასე ვიტანჯებოდე. მტერი ხომ არა ხარ ჩემი?..

— რა ამბავია, რა მოხდა? — ჰყითხა ბაზაზ არტემამ და შეუ ითხაში გაჩერდა.

— ესღა მაკლია! სირცხვილისგან დავიწვი... მერე ჭევ-ლის წინაშე... შეეტაკა ცოლი ქმარს და გაფიტრებულმა ალუბლის ამბავი უამბო.

— ვა! — წამოიძახა არტემამ.

— ოკ, ღმერთო ჩემო!... ამოითხრა კეთილმა მოხუცმა. არტემამ მოიხმო გიქორი.

გიქორი ძლივს მოათრევდა ფეხებს.

— მოახლოვდი! — დაიღრიალა ვაჭარმა.

გიქორი შეკრთა და ერთ აღგილზე გაქვავდა.

— შენ გეუბნებიან, მოეთრიე!..

გიქორმა დაპირა მისვლა, მაგრამ ისევ იმავ აღგილზე გაჩერდა.

— რა დაგაბარე, შე მუტრუკო, ჰა? მე არ გითხარი, რომ ჩემი ნათქვამი ქალბატონისათვის გადაგეცა? შენ კი სტუმრებ-თან წამოიყრანტალე, არა? „ალუბალი ძვირიაო!“

— მე... მე... ქალბატონს... — იმპერტლებდა თავს გიქორი.

მაგრამ ვიდრე გიქორი ორ სიტყვას გადააბამდა — არტე-მამ გაუშალა და ერთი სტკიცა. გიქორს თვალებიდან წინ-შეკლები გადმოსცვივდა, თავი კედელს მიახელა და იატაკზე დაეცა. არტემა შესლეგა ფეხებით და სცემდა რაც ძალი და ლონე ჰქონდა:

— მაშ „ალუბალი ძვირია“, ჰა! მაშ ალუბალი ძვირია ჰა!

გიქორს წამოესარჩილა დიდი ქალბატონი. ბავშვებმა მორ-თეს ყვირილი. არტემა მოშორდა გიქორს, მაგრამ მაინც თვა-ლებგადმოკარკლული, ქშენით დიდხანს იმეორებდა:

— მაშ ალუბალი ძვარია, რალა! მაშ ალუბალი ძვირია, რალა.

— ვაიმე, დედა! დედა! კვნესოდა გიქორი ითახის კუნ-ჭულში და შიშისაგან კანკალებდა.

როცა დარწმუნდნენ, რომ გიქორი როგორც მოსამსა-ხურე, ოჯახისთვის არ ვარგოდა, ღუქანში გადაიყვანეს. გი-

ქორის შოგალეობა იყო ფართლეულის მიტან-მოტანა მუშ-ტრებისათვის, ნავაჭრის დაკეცვა, ღუქნის დაგვა-დასუფთავება, ხოლო თავისუფალ დროს იდგა კარებში და მუშტრებს იწ-ვედა.

აი, გიქორს ღუქნისათვის სადილი მიაქვს. ფერმერთალი და გაცრეცილი მიღის ხიდზე ქვაბებით ხელში და ბატონი-სეულ ფეხსაცმელებს მიაფრატუნებს. ხიდქვეშ მტკვარი ემსხვ-რევა ქარვასლის კედლებს. მორევთან ტალღა-ტალღას ატრი-ალებს და ყრუ ხმაურობით იწევს მეორე ხიდისაკენ.

ნაპირთან შორი ახლოს ტორტმანობს მწვანე ნავი, რო-მელშიაც მოჩანს ორი კაცი. ერთი ბაღეს ეწევა, ხოლო მე-ორე კი სდგას ნიჩბით ხელში და ნავს უყარაულებს.

— უსათუოდ დაიკერს, — გაიფიქრა ვიქორმა და მია-შტრერდა შებადურებს.

გამოსწიეს ბაღე, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა.

— აბა ახლა ერთი ჩემს იღბალზე გადისროლონ ბაღე! —

გადისროლეს, მაგრამ მის იღბალზედაც ბაღე ცარიელი ამოათრიეს.

— თუ აგრეა, ახლა მოდი, ჩემი დის, ზანი!, იღბალ-ზე იყოს!

ბაღე კვლავ ცარიელი ამოსწიეს.

— მაშ ეხლა ჩემი ძამია გალოს იღბალზე!

მაგრამ გალოც უიღბლო გამოდგა.

— მაშ ეს...

ამ დროს ქარვასლის კარებთან გაისმა რაღაც ხმაურო-ბა: რომელილაც სპარსელი მლეროდა და თან მაიმუნს ათამა-შებდა. ხალხი ამ სანახაობას ყოველი მხრიდან ეტანებოდა და ანაზდად სპარსელის გარშემო კარგა მოზრდილი ბრძო მოგროვდა. გიქორმა სცადა ხალხის გარღვევა, რომ უფრო ახლო დაენახა მაიმუნის ონიები, მაგრამ ამაოდ, ვერაფერს გახდა. როგორც იყო შედგა თითოის წვერებზე, კისერი წაი-გრძელა და სცდილობდა წრის შუაგულის დანახვას.

— საღ ეტენები, შე ლაშირაკო, მიღიხარ, გაიარე! — შეუტია ვიღაც კინტომ და თავში ჩაფარა.

გიქორი გონს მოვიდა. გაახსენდა დავალება და ღუქნის-კენ მოჰკურცხლა.

საღამო უამს გიქორი მოკუნტული იჯდა სამზარეულოში. ჯერ კიდევ თვალებზე ცრემლი არ შეშრობოდა, არტემას სილებისაგან ატკეცილი ლოყები ეწვოდა. ჯერ ქატბატონის მრისხანე ხმა არც კი დამცხრალიყო, რომ სტევნით სამზარეულოში შემოვიდა არტემას ნოქარი ვასო; ვასომ რომ შენიშნა პრირალი გიქორი, დოინჯი შემოიყარა და დიდგულად ჰქითხა:

— შენ, ეი, ვირო, კლუბში შეგაჩერეს, თუ გუბერნატორმა სასწრაფოდ დაგიბარა?

გიქორმა თავი უფრო ჩაქინდრა.

— არ გესმის? მიპასუხე მეთქი!

გიქორი სდუმდა.

— სად ეგდე, რატომ თავის დროზე არ მომიტანე სადილი? ერთიც ვნახოთ, შიმ შილისგან მოვმკვდარვიყავი, მაშინ...

ამ სიტყვებით ვასო მიუახლოვდა გიქორს, გამოიქიმი მისწინ და ლონივრად ჩასთხლიშა თავში. ბავშვი მიეკრა კედელს და ორივე ხელით სახე დაიფარა, ვასოს უნდოდა, კიდევ გაერტყა, მაგრამ ეზოდან არტემას ლაპარაკი მოესმა.

— იი, აღა მოდის და ნახავ, თუ რას გიზამს! დაემუქ- რა ნოქარი.

„მომკლავენ!“ გაუელვა თავში გიქორს და თავზარდა- ცემულმა სული განახა.

ბაზაზი არტემა უკვე დაკმაყოფილდა იმით, რომ გიქორის ცემით დუქანშივე შოიჯერა გული. ახლა კი განკარგულება გასცა, რომ უსაღილოდ დაეტოვებინათ, რათა მასაც ეგება, თუ რას ნიშნავდა შიმშილი...

ჭექა-ჭუხილმა გადაიარა.

თუმცა გიქორი დამშვიდდა, მაგრამ მაინც ესმოდა ქალ- ბატონის ლანძლვა-გინება:

— ნეტა რისთვის ინახავ მაგ უჯიათს... პანლური და- მაგის ჯანი!..

გიქორმა ბალიშში თავი ჩარგო, საბნის ქვეშ მოიკუნტა- და სული გატვრინა. ვასო კი ლილინებდა თავის საყვარელ-

სიმღერას და თან ვახშამს შეექცეოდა. საბრალო გიქორს არ ეძინებოდა. დილიდანვე უჭმელს, ნაცემს და ნამტირალევს, მშიერს კუჭზე აბა რა ძილი მიეკარებოდა! ხანდახან კი ფრთხილად გამოჰყოფდა თავს საბნიდან და შესციცავებდა ვასოს.

— როგორია! კარგია მშიერი კუჭით ძილი? არ გეძინება განა? — დაცინვით ჰკითხა ვასომ და გადაუგდო ერთი ნაჭერი პური. — აჲა, ხეთქე! მაგრამ ფრთხილ აღ კი, აღამ არ შეგამჩნიოს.

გიქორი ეცა პურს, შეიფუთნა საბანში და დაიწყო ჩუმალ ჭამა. სჭამდა და ფიქრობდა: გაახსენდა მამის სახლი, წარსული ღრო, როცა დანაგარდობდა თავისუფლად და არხეინად სადილობდა ყანებსა და მინდვრებში. გიქორის ხსოვნაში გაიღვიძა იმ საღამოს სურათმა, როცა მამამ გადასწყვიტა მისი ქალაქში წამოყენა, დედა კი როგორ სტიროდა და ეწინააღმდეგებოდა.

— დედიკო, ჩემო კარგო დედიკო! ალბად წინასწარ გრძნობდა შენი გული, თუ რა მწარე იქნებოდა ჩემი ცხოვრება ქალაქში! — ოხრავდა გიქორი, ილუკმებოდა და თან ეშინოდა, რომ ბატონს არ მიესწრო.

მეორე ღილას კი გიქორი ჩვეულებრივად იდგა ბაზაზ არტემის დუქნის წინ...

11

გიქორის მოვალეობა იყო — მდგარიყო დუქნის კართან და გამვლელ-გამომვლელისათვის ექო საქონელი და მუშტრები მოეწვია.

— რა კრიჭა შეგიკრავს და გაჩუმებულხარ, დაუძახე მუშტარს რაღა, შე ყურყურავ!

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! ... — ეპატიუებოდა გიქორი.

ნოქრები გიქორის ქცევაზე იღრიჭებოდნენ.

რა ექნა! გიქორს უბრძანეს მუშტრის მოყვანა, ისიც დაურიდებლად კალთებს აგლეჯდა გამვლელ-გამომვლელთ და დაუინებით იწვევდა დუქნისაკენ.

ზაფხულში, პაპანაქება სიცხის ღროს, ისე დაიღლებო-



და საწყალი ბავშვი, რომ ქანცმილეულს მუხლი ჩაეკეცებოდა
და ზეზელის ჩაეძინებოდა ხოლმე.

გიქორი როგორც კი ჩასთვლემდა, მისი ტოლ-ამხანაგე-
ბი ხუმრობით ცხვირში ბურნუთს შეუყრიდნენ. გიქორი წა-
მოიჭრებოდა და ცხვირს დაცემინებდა. ეს ართობდა სიცხი-
საგან მოთენთილ ვაჭრებს და ერთი სიცილ-ხითხითი იყო ბა-
ზაზხანაში. არტემი კი შეუტევდა:

— კიდევ დაგეძინა? რა გითხრეს? აკი მუშტრებისთვის
უნდა დაგეძახო?

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით,—ბურტყუნებ-
და გიქორი.

დუქანში კი კვლავ სიცილი ისმოდა.

კრა ორ გლეხს, რომელნიც მისი სახლიკაცები აღმოჩნდნენ, იცნო, გაეკიდა და კისერზე შემოეხვია.

— ბიჭის! ვეღარ ვიცანი,— წამოიძახა ერთმა ჩითგანმა და მიმართა თავის ამხანაგს:

— ბალდო, შენ, კაცო, იცანი?

თვალებზე ვატყობ უინც არის.— თავისი წონედ უპასუ-
ხა გლეხმა.

გიქორი მართლაც საშინლად გამოიცვალა: გახდა, ჩა-
მოჭენა, თავის თავს აღარა ჰვავდა, ტანისამოსიც სხვანაირი
ეცვა და რა გასაკვირველია, რომ ძნელი საცნობი გამხდა-
რიყ...

— კაცს დამზგავსებიხარ! შეხე, როგორი ტანისამოსი
აცვია! თითქოს ვაყოჩალებულა კიდეც..— აღტაცებული ამ-
ბობდა ვლეხეაცი.

— ეჭ, რაც გინდა სთქვი და ჰამბომ გვაჯობა, ძმაო!
ჰედავ, როგორ კაცად აქცია თავისი ვაჟი! ჩვენი შვილები
კი მეღორეებად უნდა მოკვდნენ.

გიქორმა სეტყვასავით დააყარა კითხვები:

— დედაჩემი როგორ არის? ბალდები? რატომ მამა არ
ჩამოიდა? ჩვენმა ძროხამ ხბო მოიგო? ხომ არავინ მომკვდა-
რა ჩვენს სოფელში?

— ყელანი კარგად არიან და მოგიყითხეს კიდეც..—
უპასუხეს გლეხებმა.— მხოლოდ ლუკას ვაჟი გარდაიცვალა
და მოხუცმა მარქრიტაც შენი ჭირი წაიღო, სხვა ყველანი
კარგადა ვართ, ღვთის მაღლით!

— რატომ მამა არ ჩამოდის?

— თვითონაც ძლიერ უნდა, მაგრამ ხომ იცი, მარტო-
ხელა კაცია, ათასი საქმე აწევს კისერზე.

— არაფერი არ გამომიგზავნეს?

— აბა, თვითონ რა აქვთ, შენ რა გამოვიგზავნონ? ხომ
იცი, რა ღრია... წელს მოსავალი სრულებით არ იყო, სა-
ცოდავი მამაშენი თავს არ იზოგავს, მუშაობს, წელებზე ფეხს
იდგამს და მაინც არაფერი გამოდის. განა ქალაქში გაკლია
რამე? პირიქით, გროშები უნდა შეავროვო და შენ დაეხმა-
რო მამაშენს. აი, ახლა სახელმწიფო გადასახადს სთხოვენ,
მას კი ერთი სულის შეტა არაფერი აბადია.

— ჩვენები ხომ ყველანი კარგად არიან?

— კარგად კი არიან, მაგრამ ი თქვენი ძროხა გადმოვარდა ბანიდან და მოკვდა.

— მოკვდა?!
 — უჲ, დედაშენი როგორ სტიროდა...

საუბრის შემდგომ ერთმა გლეხთაგანმა ამოილო უბიდან წერილი და გადასცა გიქორს.
 — აბა, რას დაგვაბარებ? ჩვენ ველარა გნახავთ — ღლესვე უკან მივდიგართ. თუ რამე გაქვს გასაგზავნი დედასთან და დებთან, ახლავე გაგვატანე.
 — რა გაგატანოთ? მე ხომ ჯერ ჯამაგირში არა ვარ?
 მაგრამ...

— მაგრამ რა?..
 — ის რომ მე თვითონ მინდა წამოგყვეთ. დაბრუნება მინდა შინ.. მომწყინდა...
 — ი წამოურია! ბიჭო, სოფელი გირჩევნია ქალაქს? იქ რა დაგრჩენია? გვევონა დაჭვიანდი და ხალხში გამოხველი, სცხოვრიბ ბატონიშვილურად, ახალ ტანცამასში გამოწყობილხარ, ხელფეხი სუფთად გაქვს; ჩვენ კი შენი იმედი გვქონდა, რომ ევება ჩვენი გაუქანიც დაგებინავებინა შენსავით. შენ კი — ვაიმე, ვაიმე — რატო იკრე ლაპარაკობ, ბიჭო! სწორედ შენზეა გამოკრილი: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“. ასე ესაყვედურებოდნენ გლეხები გიქორს. ცოტა-თი გაუჯავრდნენ კიდეც, ლარიგეს, გამოეთხოვნენ და წავი-უნენ.

გიქორი დაბრუნდა თუ ირა დუქანში, ამოეფარა დახლს და წერილის კითხვა დაიწყო.

13

„ჩემო საყვარელო შვილო გიქორ!

ქალაქ ტფილისში.

ჩვენ ჯანმთელიდ და ცოცხალნი ვართ, რასაც შენც გისურვებთ. ხელის ჩამორთმევით და პირზედ კოცნით მოგიყი-თხეს მამაშენმა, დედაშენმა, ზანიმ, მოსემ, მიკიჩამ, გალოშ. ჩემო შვილო გიქორ! ალბად შენც გაიგებდი, ჩვენს გაჭირ-ვებულ ცხოვრებას, გადასახადს გვთხოვენ, ფული კი არსა-

დან არ არის. დედა და ზანი თითქმის შიშველნი არიან, და ჩვენც ყველანი ღიღ გაჭირვებას განვიცდით, შვილო გიქორ! თუ რამე ფული გაქვს, ცოტაოდენი გამოგვიგზავნე, ტანსაც-მელიც მოვვაწოდე, წერილიც გამოგზავნე შენს ყოფა-ცხოვ-რებაზე. უნდა იცოდე, რომ ჩვენი თეორტუხა ძროხა მოკვ-და; დედაშენი და ზანი თითქმის შიშველი დადიან...“

ამ წერილმა გიქორი ჩააფიქრა, ყოველივე სიტყვა სწვავ-და მის გულს.

„დედაშენი და ზანი თითქმის შიშველი დადიან, და ჩვენც ყველანი ღიღ გაჭირვებას განვიცდით!“

— ბიჭი, დაუძახე რაღა მუშტარს! რას გაშტერებულ-ხარ? ჭკუა-გონება ხომ იმ სოფლელებს არ გააყოლე? — დაუ-კვირეს დუქნიდან.

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით! — გაჭირდა გიქორა ბაზაზ არტემას დუქნის წინ.

14

დადგა ზამთარი, ქალაქი თოვლშა დაპფარა. გაპარტახე-ბულ ეზოებში ქარი ზუზუნით დაპქროდა და ქალაქის ლარიბ-ლატაკ, ბოგანო ბავშვებს სტვენით ეხუტებოდა.

ქარმა გიქორიც მონახა.

სიფრიფანა ხალათის ამარა იდგა გიქორი დუქნის წინ და კვლავ საცოდავად გაიძახოდა:

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით!

ქარმა უხილავი ბებუთივით გიქორს ძვლებში დაურბი-ნა და საპრალოს ციება დააწყებინა.

გიქორი ისედაც დავრდომილი იყო. და ამ გაციებამ მოლად დასცა და ლოგინად ჩააგდო.

15.

ავადმყოფი გიქორი იწვა არტემას სამზარეულოში. მო-ხუცი ქალბატონი დღეში რამდენჯერმე შეეიდოდა მასთან და სიბრალულით ჰეითხვდა:

— ხომ არაფერი გინდა, პატარავ!

— წყალი!

მოხუცი აწვდიდა წყალს, ავადმყოფი ხარბად ეწაფებო-და ჭიქას, მოსვამდა და კვლავ სწყუროდა...

— შიგნეულობა მეწვის... წყალი კი რა ცუდია! ახ,
ნეტა ჩვენი სოფლის წყარო იყოს... ნეტა ახლა ჩემს სახლში
ვიყო დედასთან...

ბაზაზ არტემა ხათაბალაში გაება. აქეთ ეცა, იქით ეცა,
მაგრამ ვერავინ ნახა, რომ ჰამბო დაებარებინა სოფლიდან და
ბოლოს იძულებული გახდა ავადმყოფი გიქორა ქალაქის სა-
ავადმყოფოში დაწვინა.



სავადმყოფოში მწერივად იწვნენ ავადმყოფნი, რომელ-
ნიც ჰკვენესოდნენ და დაუძლურებულნი ერთი მეორეს საცო-
დავად გადახედავდნენ ხოლმე.

გიქორიც ამათთან მოათავსეს.

მამამ აქ იპოვნა თავისი შვილო.

— გიქორჯან, რა დაგემართა, შვილო! — ამოიოხრა ჰამ-
ბომ. სიცხიანმა გიქორამ ვერ იცნო მამა.

— მე ვარ, შვილო, მამაშენი, ვერ მიცანი?
 ავადმყოფი მაინც ვერ სცნობდა. ვიქორი ბოდავდა ლა
 გაჰკიონდა:

— მიკი! ზანი, მამა, დედა!

— აქა ვარ, შვილო, დედამ გამომგზავნა შენს წახა-
 ყვანად. წამოხეალ? გინდა? მიკიჩა და ზანი ბანზე სხედან და
 გელიან, შვილო, თვალები დააწყდათ შენს მოლოდინში! გი-
 ქორჯან, ერთი სიტყვა მაინც მითხარი, ვიქორჯან!

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — წამოიძახა
 ავადმყოფმა. ვიქორი ლუღლუღებდა რაღაც გაუგებარ სიტ-
 ყვებს და... იცინოდა...

16

რამდენიმე დღის შემოეგ ჰამბო შინ დაბრუნდა.

გიქორი ქალაქში დამარხა და მარტოკა მოდიოდა. იღლი-
 აში განსვენებულის ტანისამოსი ამოედო, რომ დედას — ჩვეუ-
 ლების მიხედვით — თავისი ვაჟი უკანასკნელად გამოუტირა.
 გიქორის ჯიბეებში იპოვეს ერთი მუჭის ოდენა ბჭყვრიალა
 ლილები, ფერიადი ქალალდები, ჩითის ნაჭრები და რამდენიმე
 ქინძისთვი, ალბად თავის დის ზანისთვის აგროვებდა.

ჰამბო მიდიოდა ჩაფიქრებული.

დი უ ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამ გ ზით ჩაფილნენ
 ქალაქში.

აი, სწორედ ამ ადგილას ვიქორმა სთქვა: „მამა, ფე-
 ხები მტკიფაო!“

— აი, ამ ხის ქვეშ დასხდნენ დასასვენებლად...

— აი, ვიქორის სწორედ ამ ადგილას მოსწყურდა წყალი...

„მამა, წყალი მინდაო“...

— აი, ის წყაროც...

ყველაფერი ისევ წინანდებურად დარჩა, მხოლოდ ის კი...
 ალარ არის...

მეორე დღეს, როცა ჰამბო უღელტეხილს გასცილდა.
 შორიდან სოფელი გამოჩნდა.

სოფლის საზღვარზე გიქორის დასახვედრად გამოსულიყვ-
 ნენ: დედა, ზანი, მიკიჩა და მოსე, ხოლო პატარა გალო, რომე-
 ლიც დედას ხელში ჰყავდა აუგანილი, ენამოჩლექით იძახდა:

— ცქალა, ვიქორ, ცქალა!..

ი. ვრიშაშვილი.



ო. თუმანიანიძენ.

ჩემი სიმღერა.

მე მდიდარი ვარ. საუნჯე მაქვს გულში ფარული,
მაგრამ ფულისთვის ოქროს ხეხილს ვერ დავემყნები.
ჩემი სიმღიდრე სიკეთეა და სიყვარული,
პოეზიისთვის შევიყვარე ყველა ქვეყნები.

სავსე მაღანი ანაზღეულ თუ სხვას უქრება—
მე ხერხემალად დამაქვს ჩემივ ლექსის კედელი.
რამდენიც უნდა გავცე ხალხთა გასაჩუქრებლად,
გაინც ზოვა არის ულეველი, დაუშრეტელი.

გული მაქვს ცხელი, უხვი, ღია—ვით დღე მკათაფის,
სხვის სიყვარული მკერდს მივიკარ ხატად და ჯვარად.
ვინ რას დამაკლებს! მე ჩემს ღოვლათს ყველა კაცთაფის
ჩემი სიკეთის მწვერვალიდან ვაფრქვევ ერთგვარად.

მე მდიდარი ვარ! ხალხს შევწირე ლხენა და გლოვა.
ოვითონ მტერსაც კი ატყვევებდა ჩემი გალობა.
მე ამა ქვეყნად ხელმეორედ ხომ ველარ მოვალ—
უკან ვუბრუნებ ჩემ სამშობლოს რაც მიწყალობა.

o. გრიშაშვილი.





ჩემო ყანავ!

მოქრის, მოცურავს ნელი ნიავი
მოქრის და არხევს აქოჩილ ყანას.

სხივით ნაფერი ღელავს ნაპირი,
მას არე-მარე უმღერის ნანას.

ოჲ, ჩემო ყანავ! შენს მსუყე ნაყოფს
გარს რამოდენი თვალი უცქერის?..
ვინ ზღაპრებს გითხვავს, აქებს შენს

სამყოფს.

ვინ საოცნებო ღექსებს გიმღერის...

დამწიფდი ჩერა! მზიურ თავ-თავში
ქარვის მარცვლები აჩხიალდება,

და მაგ ოქროს ფრად გაშლილ კალთაში
ელვის ნამგალი აპრიალდება.

ყველას თვალები გაუბრწყინდება.

მათ ზეცის შუქი მოპფენს სიხარულს
და სამუდამოდ გულს ჩაისახავს

კეთილ სურვილს და შრომის სიყვარულს.

მიმქრალი.





ბინული*)




ჩახე ბინული, ოოგორც ყინული
ცივი და წმინდა, შუდამ ანკარა,
ვინც-კი მივიდა იქ უწმინდური,
არც ერთი ახლოს არ გაიკარა...

და ოუ ეწვია სუფთა ყვავილი
ფოთოლთ სანამად ტურფა ველისა,
წინ მიეგება და მოინდომა
ზედ გადაჭდომა ბროლის ყელისა.

გრილია პირად, თბილი კი გულით
გინდ ცივ ზამთარში, გინდ ცხელ ზაფხულში.
იმ წმინდა ბინულს გამსგავსებ, ბალონ,
და ყვავილივით მიზიხარ გულში.

ენახე ბინული გადმოჩქეფილი
კლდის წიაღიდან ლურჯი, ანკარა...
იმ ბინულივით იყავი წმინდა
მთელ სიცოცხლეში ჩემთ პატარა!..

შიო მღვიმელი.



*) ბინული — წყარო. მარტინ გორგაძე და ვაჟა ბარაბაშვილი მიერ მომზადებული იყო ეს სახელი. მარტინი გორგაძე და ვაჟა ბარაბაშვილი მიერ მომზადებული იყო ეს სახელი.



ԹՈՂՈՏՅԱ ԿԱԼՈ.

ՑԼԱՅԱՐՈ ՀԱ ՏՈՆԱՑՑՈՂԵ.



Եթևի մողրոցքեա եռլմյ զամբըրյուլո, զա-
մշյլյացուլո նոցտեօ. ալացեծ-դալացեամո զանց-
ուտացեան դրու ամ եահանցրան զադրոն նացաց
շապոլյեան, շաբակունու. մոեցեա եռլմյ, հռմ
շաբարցու նոցտեօտան յրտագ, սպունո և գա-
գոյշեցելոն, առ պոյտեոլոցքեան և պոլոցքեն նոցտեօն,
հռմելուաց մհացալո տառա սոցարուլուտ և սօամոցնեցոտ
եմարոնձրա, մհացալո եցրո ալցրուտ յեցուու, մհացալո տցա-
լո եահոնձրա մատո եաունեցու սաեցրեցոտ, հռմելուուց տու-
յո հայարշուլո ոյու մշյլո զադրոնցեան շուլուս մացեօ.

Պոյտեոլագ մոյքյուու ամ մշյլյացու նոցտեօն, սօնո մո-
ցուտեհռոնց թահուսուլուս ամեցաց և, զոն ուրու, ոյնցեօ, նոցո
մատցանո տոլուսմանուրա. ոյնցեա լայսանցուլո հցուլո—չաժո-
նեցյելու, ոյնցեա մշյլո յալմունուս յուլո—յիհոն-մահոնուս յուլու,
ոյնցեա սաեսանո Շյեցլա չաժուսնոյրու, ոյնցեա լայյորուլո յին-
չո, սկուզրուս մոհնու հռմ մոյշյուլո—նացրուս տցալու, մաց-
րամ տյացեն առ ուրու և սուրպուցու, և Շյելուպա ամոյնացեան
մատ, հռմ շամուսինոն չաժուսնոյրու մալո.

Եյ ոյոյշեցու, հռմ ՑԼԱՅԱՐՈ շամենամետ, ան շամոցոնուլու. իյմո մոտեհռոն նամցուու ամեցաց, իյմո շմուրո լոցուսաց պու-
նալուս և, ույ Մյեցուու մաս, զոյոյիհոն, հռմ իյմէ նամենմէ
ըալուսիուրյեան.

Զարարա ըոյմոնո զամենա սամերյուտ ամյրոյանու—ծրանո-
լունու. մու մշոնձլունու, շամուսաելուցուլո պոհանցեան, չյոնցուտ
յացուս Յլանըրաւու, Մյելոցուլոնո ոյցնյեն և արաս նոցացըն-



შეილის საუკეთესოდ სწავლა განათლებისთვის. ბავში იშვიათი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ გადამეტებული ცოცხალი და მგზნებარე გონება ოდნავ ხელს უშლიდა მშრალ მეცნიერულ მეცადინეობაში. იზრდებოდა თავისუფლად. 12 წლისა მდინარეში ცურავდა დაუღალავი ინდოელივით, ცხენს აქენებდა, როგორც გაუჩნდი. უშიშრად ხოხავდა კლდეებზე, წვრილ ბილიკებზე, ნაპრალთა ნაპირებზე, რომელთა სიღრმიდან მოისმოდა ჩანჩქერთა შხუილი. შესანიშნავად აკეთებდა და აფრენდა ქალალის გველებს — ერქანებს. ამ ოსტატობაში ბადალი არ ჰყავდა ტოლთა შორის ბრაზილიაში, ამერიკაშიც და შეიძლება მთელ ქვეყანაზედაც. ხან მოსრიილე ერქანს აფრენდა მზის სხივებში და როცა ბჟყვრიალა, ნახევრად გამსჭვირვალე და ოდნავ შესამჩნევი სათამაშოები მძლავრად გამოსწევდენ ბავშის ხელიდან ზონარს, მისი შვი, კაში აპყრობილი თვალები, უზომო სიხარულით აინთებოდენ.

ასე ცხოვრობდა თავისუფლად, უდარდელად, სწავლობდა, ვარჯიშობდა, აკვირდებოდა ბუნებას. გადამეტებით კი არაფერი არ ეხალისებოდა გარდა ერქანების გაფრენისა.

მეთორმეტე წელში იყო, როცა მას შეხვდა არა ჩვეულებრივი ადამიანი და ამ შეხვედრამ უნებლივ არაჩვეულებრივ გზაზე დააყენა.

ერთ საღამოს თევზაობის შემდეგ შინ დაბრუნდა, დაჭერილი თევზი სამზარეულოში შეიტანა და გაეშურა სასტუმრო ეზოში, რაკი გაიგო, რომ მათ ესტუმრა გამოჩენილი მეცნიერი, გერმანიის უნივერსიტეტის პროფესორი. შევიდა თუ არა, ზრდილობიანად მიესალმა უცნობს. ეს იყო უზარმაზარი, წითელ ლოცვებიანი, სქელი კაცი წვრილი ხმით. პროფესორს მთელი დედამიწა შემოევლო და თითქმის ყველა ენა იცოდა. მოვიდა მექსიკიდან, სადაც შეისწავლა ერთი ველური ტომის ცხოვრება, ახლა კი სხვა ველური ტომების ცხოვრების შესასწავლად მიდიოდა. ამ გვარად უნდოდა გაეცნ მთელი სამხრეთ-ამერიკის მცხოვრებნი, თვით ცეცხლის მიწამდის.¹⁾)

ჩვეულებრივად მეცნიერები მოსაწყენი, გულცივი და

¹⁾ კუნძულია.

გულდახურულნი არიან. პროფესორი-კი სასიამოვნო, მოუ-
ლოდნელი გამონაკლისი იყო მათ შორის.

ლაპარაკობდა ცოცხლად, ხალისით და გატაცებით.

ათი-თორმეტი დღე პირებდა დარჩენას მათ ქალაქში და
დიუმონმა მამას სთხოვა, ეს დრო მათ სახლში გაეტარებინა.

განთქმული მეცნიერი და პატარა ბრაზილიელი, დიუ-
მონი, მეტად დამეგობრდენ. დილიჯან სალამომდი განუყრე-
ლად ერთად იყვნენ. ერთად ათვალიერებდენ ქალაქს და მის
მაღამებს, თევზაობდენ, უშკელებელ ქალალდის ერქანებს
აფრენდენ, ნავით დაცურავდენ. მეცნიერი ხშირად ებასებო-
და ბავშისათვის გასაგები ენით ძალიან სერიოზულ საგნებშე.
ამოილებდა რამე ნივთს (ჯიბეები მუდამ სავსე ჰქონდა სხვა-
დასხვა საკვირველი საგნებით.) და მოუყვებოდა ამბავს... აი,
მაგალითად, ერთხელ დიუმონს გადასცა ბრტყელი ნაჭერი
ქვისა თუ პაპიემაშესი, რომელსაც ერთი მხარე ყვითელი ჰქო-
ნდა, მეორე ზოლ-ზოლად დაფერადებული.

— აბა, გამოარკვიეთ, მეგობარო, რა არის?

ყმაწვილმა კარგა ხანს ატრიალა ხელში გადმოცემული
ნატეხი:

— იქნება ქვა, ან ბათქაში, ან დაფერადებული კირია.

— აბა, მაგის წარმოშობა მიაჩვეთ?

— არ ვიცი... მე მგონია არც სამხრეთ ამერიკიდან, არც
ევროპიდან არ არის. შესანიშნავად კი არის დაფერადებული!
რა არის?

— ეს, ჩემო მეგობარო, ცემენტით გაულენთილი ტილო-
დაფერადებულია სამი ათასი წლის წინედ ეგვიპტის ფარაონის
საფლავისათვის... მისი სახელი... ფარაონის სახელს მოვი-
თხრობდა: მისი პიროვნების, მისი მეფობის და თანდათა-
ნობით იშლებოდა მთელი ეგვიპტის ისტორია: ომები, სარ-
წმუნება, ზენ-ჩვეულება, მეცნიერება და ხელოვნება. ამ გა-
რადვე ძველებურ ქილის ნატეხს, ქალის სამაჯურის ან საყუ-
რის ნამტკრევს ალაპარაკებდა წარსულის შესახებ.

დიდ მნიშვნელოვანი იყო დიუმონისთვის ერთი მოკლე
ბასი, როდესაც ორივე თვალს ადევნებდა ახალ ერქანის „დე-
მუაზელ“-ის მსუბუქ და მოხდენილ გაფრენას.

— იცით, რას გეტყვით, — უცბათ წამოიწიფლა პროფესორმა, — თუ ადამიანი როდისმე აფრინდება ჰაერში თავისუფლად, ყოველ შემთხვევაში გაზით სავსე ბუშტით კი არა, სწორედ ამისთანა ფრინველის ნაირ სიბრტყით!

— თოკ-მობმული? — ეშმაკურად შეეკითხა ყმაწვილი.

— არა. დიდი სიბრტყე ჰაერში გააჩერებს, წინ გასწევს და მაღლა აიტანს რამე დიდი ძალა, მშრუნავი ნიჩაბი, ან ბურლი, როგორც გემსა აქვს. ცხადია, ბურლი მეტად დიდი უნდა იყოს და მისი ტრიალის სიჩქარე გასაოცარი!

პირველი თავისუფალი აფრენა ამ გვარი მანქანით იქნება და პირველი ადამიანი — გმირი, რომელიც ამას გაპბედავს, დაიმორჩილებს ჰაერს და შეიძენს საუკუნო დიდებას!

— ოჲ, რარიგ მინდა, მე გავხდე იმ ადამიანად! — ალაცკებით წამოიძახა ყმაწვილმა. — მე გავბედავდი!

გერმანელმა თავი დახარა და სერიოზულად ჩააცერდა ბავშვს თვალებში.

— შენ? — დაფიქტურა რამდენსამე წამს, და დარწმუნებით სთქვა: — შენ კი შესძლებ! — მერე დაფაცურდა: — გაიქეცი მარდად, მოსწიო ზონარს! ერქანი ყირაობს, უჯარო ადგილს მოჰყვა! მარცად, მარდად!

საშინელი სისწავეით გარბოდა დრო. დადგა უკანასკნელი სალამო. ხვალ პროფესორი აღრიანად გაემგზავრება. მეგობრები, პატარა დიუმონის ოთახში ისხლენ მოწყენილები, ნაღვლიანები და ლუმდენ. მეცნიერის თვალები ყველაფერს ათვალიერებდა, შინჯავდა. აი, ახლაც თვალი გადავლო ჭრს, კედლებს და შემდეგ დააკვირდა იატაქს. უცებ გაკვირვებულმა წამოიძახა:

— რა უცნაური ხალი გაქვთ! საიდან, როდის გაჩნდა აქ?

— არ ვიცი, მგონი მამიჩემის პაპის ნაქონია. გადაგდება უნდოდათ, მაგრამ არ ვიცი რატომ, მომეწონა და დავიტოვე. ძალიან ძველია. ალაგ-ალაგ მთლად გახეხილია.

— დააკვირდით, — ამბობდა აღტაცებით პროფესორი, — რა საუცხოო ფერაღობაა, რა შვენივრად შენახული. თუ შეიძლება სინათლეშე გავშინჯოთ.

ხალი პატარა იყო, ყვაწვილმა აღვილად მიიტანა ფანჯარისთან.

— ფერადები, შეხამგბა, ჩუქურთმა... ეჭვი არ არის ინდოეთისაა. იშვიათი ძველია და საუცხოო სილამაზისა. სპარსული სახე უფრო წვრილი და ერთფეროვანია, არც ასეთი გაბედული. აბა დახედეთ: ნიშანიცა აქვს... რაღაც ფრთვები ურინველი: ან არწივი, ან ქორია... ქვეშ ხაზი გრაგნილით... ყავარჯვენი? კვერთხი? სკიპტრია?... სულ ბოლოს, წარმოიდგინეთ, არაბული ასოები! რა მენანგბა, რომ სწორედ ეს ალაგი გახეხილია და სიტყვები წაშლილა. მარტო ერთს სიტყვას ვარჩევ ტარ თუ ტარა, ნიშნავს მივთრენ, ფრენა...

საუცხოო ხალია, გასაკვირველი! იქნება სამასი, ოთხასი, ვინ იცის ხუთასი წლისაც... საოცარი ნივთია, საოცარი! ყმაწვილმა შესთავაზა ხალი პროფესორს, მაგრამ მან უარი უთხრა: — ამ ნივთს, ჩემო მეგობარო, ნუ მოიშორებთ. ვინ იცის, იქნება ეს ის თილისმა-ხალიჩა „ათას ერთი ლამიდან“, რომლითაც სეირნობდენ: ბატონიშვილი ჰუსეინი, მის გვერდით მჯდომი, ბატონიშვილი ალი ჯადო — ქოდრიკით და ბატონიშვილი ანმედი უკვდავების ვაშლით? უფრთხილდით ამ საუნჯეს! ხალიჩა-ფრინველს! „ტარა! — მივთრენ!“

პროფესორი გაემგზავრა ველური ტომების ცხოვრების შესასწავლად. ყმაწვილმა ცოტა ხანს ინალვლა და მიიფიწყა. სამაგიეროდ ერთობ შეიყვარა ძველი ხალი, რომელმაც მეცნარის უეხების შემდეგ სხვა ელფერი მიიღო. ხშირად საღამო-ობით დიუმონი მოიკეცავდა ხალზე, გაიყურებოდა ცაში და ოცნებობდა.

ერთხელ, ჩვეულებრივად ხალზე მოკეცილი, თითს ავ-ლებდა არაბულ ასოების სახეს, აქეთ-იქით ქანაობდა და ხალვლიანი ხმით ლილინობდა:

ხალიჩავ შეენიერო,
ძველო თილისმიანო.
ხალო ძლიერო,
ჯინის შექმნილო.
ტარა-ტარა-ტარ!
აფრინდი ცაში,

ასცილდი ღრუბლებს,
 მზისკენ იფრინე,
 ტარა-ტარა-ტარ!
 არწივმა ფრთები შემოჰკრას,
 ჰაერში გაჩნდი ხალი.
 კვერთხს ავწევ—ზევით ავფრინდები,
 დავწევ—ქვევით ჩავფრინდები,
 მარჯვნივ გავწევ—მარჯვნივ ვიფრენ,
 მარცხნივ—გავწევ—მარცხნივ ვიფრენ,
 ტარა-ტარა-ტარ!
 ქვევით ხალხია — ჭიანჭველები,
 ქვევით სახლებია — სათამაშოები,
 მე მარტო გარ ჰაერში,
 ტარა-ტარა-ტარ!
 მივფრენ თილისმა-ხალით,
 ტარა-ტარა-ტარ!

ორ გაუკვირდა ყმაწვილს, როცა ფრინველის მოხაზუ-
 ლობა შეინძრა, შეკრთა, ფრთები ასწია, ხალი გაეცალა და
 ნელა შემოტრიალდა. ხალის ბოლოები შეიკეცენ, როგორც
 ბანდიანი ფრთები; ყმაწვილს კი ხელში ეჭირა საღავე. მის-
 წია თავისკენ საღავე და თვალის დახამხამებაზე გაიწია,
 გაქრა კედლები; დაბერა ქარმა და აიტაცა ხალი ზევით, ლაფ-
 ვარდ ცაში.

აფრინდა მაღლა. ქვეშ გარბოდა ქალაქი თავისი ქუჩე-
 ბით, მოედნებით, ბაღებით. ქარი სცემდა სახეში. ერთხმოვა-
 ნად ზუზუნებდა ფრინველი. საჭე მორჩილი იყო ამაყი ხელისა.
 მაღლა თუ დაბლა, მარჯვნივ თუ მარცხნივ ჯაღო-ხალი მი-
 ფრინავდა მის სურვილზე.

გასცილდა ქალაქს. მარჯვნივ ამართულიყო ტყით და-
 ბურული პთები, მარცხნივ მოჩანდა ყვითელ-ლურჯად ზოვის
 ყურე და ზედ მოცურავი გემები. შორს გადაჭიმულიყო მუქ-
 ლურჯად ოკეანე.

— მთებასკენ! — ჩაილაპარაქა დიუმონმა. ხალი შემოტ-
 რიალდა და მთებისკენ გაექინა. მთები უახლოვდებოდენ,
 იზრდებოდენ, იცვლებოდენ, გარკვეულად ჩანდა მათ შო-

რის ნაპრალები, ხევები, ჩანჩქერები, ბოლოს დარწყია ხის წვერებიც...

— მალა! უფრო მალა! — ამბობდა ფრენით აღტაცებული ყმაწვილი. მთის მწვერვალს დასტრიალებდა. პატარა ღრუბელი, გააპო და იგრძნო სიცივე და ნესტი. შემდეგ ერთი-ორი მძლავრი შემოქნევა და გადაფრინდა მთებს. მას მიეგება მზე და სიხარულით და ალერსით შეაშექა სახეში ოქროსფერი მოცინარი სხივები.

აფრინდა იმ სიმაღლემდი, სანამ მთის ვრეხილი არ ვაბრტყელდა და არ გაუთანასწორდა მინდორ-ველებს, როგორც რუქაზეა.

გაშინ მოტრიალდა ოკეანისკენ, რომელიც მედიდური სილამაზით იკარგებოდა უსაზღვრო სივრცეში:

შემდეგ თვითონაც დაიკარგა სივრცეში: ზემოდ ლურჯი ცა, ქვემოდ ლურჯი ოკეანე, მათ შეა—მოხიბლული ყმაწვილი მხიარულ და დაუდეგარ ქარში განვეული. სხეული გაიფანტა, დარჩა სული სიმშვიდით და ნეტარებით მოცული, ზეციური აღტაცებით შეპყრობილი. მაგრამ... სადღაც ახლო ძალით ყეფს... ისმის შოლტის ტყლაშუნი... დაიჭრიალა ალაყაფის კარებმა... ცხენმა ფეხები ააბაკუნა...

ყვაწვილმა ღრმად ამოისუნთქა. ის იჯდა ისევ თავის თეთრ ოთახში, ფანჯრიდან ისევ მოჩანდა ლურჯი ცა. რა დაემართა? ეძინა? ოცნებამ გაიტაცა? ამაზედ ვერ გიპასუხებთ. ეს ზღაპარია.

როდისმე სთხოვეთ ნაცნობ ავიატორს (მშობლების და ექიმის დასტურით) აგაფტონით თავისთან ერთად. თქვენ დარწმუნდებით, რომ ყველა ზღაპრული სასწაული, არაფერია შედარებით იმასთან, რასაც თქვენ განიცილოთ ცაში ფრენის დროს.

უკანასკნელი სიუყვა დიუმონის შესახებ.

მე-XIX საუკუნის ოთხმოცდა მეათე წლების დამლევს, ამერიკელებმა, ძმებმა რაიტებმა, შესძლეს აფრენა ჰაერში მძიმე აპარატით და გაჩერდენ 5—9 წამის განმავლობაში. ამიტომ ჰიტველობა დაიჩემეს. მაგრამ მათი უფლება პირველობაზე

საექვთა. პირველი, ნამდვილი გაფრენა რამდენიმე თვის შემდეგ შესძლო სანტოს დიუმონმა. მან თავისი დირიქაბლი „დემუაზელ“-ით კოხტად შემოხაზა რიცხვი რვა, (8); პარიზის ორ მწვერვალ—ეიფელის კოშკის და ღვთისმშობლის ტაძრის შეა.


უნდა მოგახსენოთ, რომ მას სრულებით დავიწყებული ჰქონდა თილისმა-ხალი არაბული წარწერით და ზღაპრული გაფრენა. მაგრამ ეტყობა ადამიანის გონებაში მისდა უნებულად, ფრთხილად ინახება, რაც როდისმე უნახავს, გაუგონია, წაუკითხავს, გაუფიქრია, სულ ერთია—სიზმარში, ოცნებაში, თუ სინამდვილეში.


და აი, როდესაც სანტოს დიუმონმა გაათავა ფრენა, მოატრიალა აპარატი და დაეშვა დაბლი, მაშინ გაეხსნა მოგონება და გაიფიქრა:—ოდესდაც ყველაფერი ეს მე განვიცადე, ერთხელ, დიდი ხნის წინედ! მაგრამ როდის?...

მე ვიცი, თქვენ მეტოხავთ:—მაშინ, პირველად, ნამდვილად იფრინა, თუ დაესიზმრაო?

ერთმა დიდმა წინასწარმეტყველმა სთქვა: „მე ვნედავ, წვეთი როგორ სწყდება ჭურჭლის ნაპირს და ვარდება, იმ წამსვე ვხუჭავ თვალებს და სინამ წვეთი დაეცემა მიწას, მე ვასწრობ შვილივე ცის მოვლასა“-ო. ასე ვრცელია ჭუისა და ფანტაზიის შორსმხედველობა!

მ. ციხარაშვილი.





ღეღოფებლას საჩივარი.

Yდამიანი რომ მტერს მოყვერისგან ვერ არჩევდეს და მოყვარესაც ისე ეპყრობოდეს, როგორც მტერს, — დიდი უსამართლობაა. ჯერ ერთი ის, რომ ჩემი სახელიც რიგიანად ვერ უსწავლიათ.

ჩემი სახელია დედოფალა. იმერეთში მედახიან სინდიოფალას.

ზოგი თრითინასა და ქრუკინს მიწოდებს, — არ არის მართებული. მეორეც ის, რომ იმერეთშიაც და ამერეთშიაც აღამიანი მდევნის, იქაც და აქაც მტრად მივაჩნიართ. ეს დიდი გაუგებრობა და უსამართლობა გახლავთ, და ეს არის ჩემი საჩივარი.

ამიტომაც მსურს გაგაცნოთ ჩემი ყოფა-ცხოვრება და, როცა თქვენი საკუთარი თვალით დაინახავთ ჩემს ვინაობას, მაშინ გოხოვთ დამსდევთ მეჯავრი და განიკითხოთ ჩემი საქციელი. ჩემი სახელი არის დედოფალა, ლათინურად: *Putorius vulgaris, Mustela gale,* ხოლო რუსულად — լასკა.

სილამაზისათვის ბავშებს თუ ვუყვარვარ, თორემ დიდებს ჩემი სილამაზის რა ეცხელებათ. ტანით მორჩილი ვარ, სულ 20 სანტიმეტრის სიგრძე მაქვს კუდიანად, კუდი რომ $4\frac{1}{2}$ სანტიმეტრი ჩავთვალოთ. ფეხები მაქვს თუმცა მოკლე, მაგრამ ფრიად შარდი, ტერფი ძალიან სათუთი და თათები

წვეტიანი, მკვეთრ-ბრჭყალებიანი. ქურქი მაცვია რბილ-ბეჭ-
 ვიანი და დახატული: ზურგი და გვერდები მოწითანო-წაბ-
 ლისფერი, ზედა ტუჩი, გულ-მუცელი და თათების გული
 თეთრი, ლოკებზე მასხია თითო წაბლისფერი ხალი და თეთრ
 მუცელზედაც აქა-იქ. ულვაში გრძელი მასხია და მაგარი
 ისე, როგორც თვალის ზევით და ქვემოდ ბეჭვები. ჩრდი-
 ლოეთში დედოფალი უფრო მოთეთრო ქურქს ატარებსო, —
 ამბობენ და მე კი არ მინახავს. მეც კვერნის გვარს ვეკუთვნი,
 ხოლო ამ გვარის წარმომადგენელთა შორის ჩემი აგებულება
 ყველაზედ უფრო მოხერხებით არის მოწყობილი, რათა იმ-
 ლად შემეძლოს გაძრომა სულ მცირე ხვრელებსა და ჭუჭრუ-
 ტანებში. ამის შესაძლებლობას მაძლევს თავისა და კისრის
 თითქმის ერთი ზომა, გრძელ-წვრილი ტანი და მოკლე ფე-
 ხები. ამიტომაც ჩემი საცხოვრებელი შეგიძლიათ მოსახლით
 ქვების გროვაშიაც, ხის ფულუროშიც, თხუნელას, მაჩვისა და
 ვირთხის სოროში და წყლის ნაპირზეც. ზამთარში თავს ვი-
 ნახავთ სახურავ ქვეშ, საღმე ფარდულში, საკუჭნაოში და
 სხვაგან. თუ არას გვერჩიან, დღისათაც ვნაღირობთ ხოლმე
 ლუკმა პურის მოსაპოვებლიად, ხოლო საცა გვდევნიან, შე-
 ღლამებისას გამოვდივართ სანაღიროდ შინაურის, მინდვრისა და
 ტყის თაგვებსა და ვირთხებზე, თხუნელებზე, მაჩვისა და
 კურდლის შვილებზე. გველი, ან კარა, ხვლიკი და ჯოჯოც
 ჩვენი სამხვერპლოა, საცა წავაზუდებით. ბაყაყიც და თევზიც.
 ხოლო თუ საღმე ქათამს, ტრედს, ტოროლასა და სხვა რო-
 მელსამე ფრინველს გავკარით კბილი, ხომ კარგი და კარგი.
 ან თუ საღმე ბუდეს მოკრავთ თვალს მინდვრად, თუ ხეზე,
 აქაც ჩვენი სუფრა და მასპინძლობაა გამართული. რასაკვირ-
 ველია, შინაურ ფრინვლებს უფრო ნაკლებად ვიგემებთ
 ხოლმე, რადგან მათი შემწვარ-შებრაწული ჩიჩია თავის პატ-
 რონებს ჩვენთვის არ ემეტებათ და, თუ გავკაზნიერდებით
 და ამ ფრინველზე გავინადირებთ, ცხენიც შეკაზმული უნდა
 გვყავდეს გასაქცევად და თავის საშველად. მაგრამ, საბედნიე-
 როდ, ჩვენი, თუნდა მოკლე, ფეხები იმოდენად მარღნი არიან,
 რომ რომელი ცხენია, ჩვენ რომ დაგვეწევა! ჯერ ეს ერთი
 და მეორეც ისა, რომ ცხენი არა თუ არ შეგვისვამს ზურგ-

ზედ, არამედ ახლოც არ მიგვიყარებს.—რატომო,—თუ მკითხავთ, მოგახსენებთ: იმიტომ რომ დეფოფალის არა ერთ-ხელ და ორჯელ დაუსისხლიანებია კანჭები ცხენისათვის და რომ არა მხედრის შემწეობა, სისხლისაგანაც დაიწრიოტებოდა. ასეთია ჩვენი ადათი, მოპირდაპირის სიდიდეს და ძალას როდი ვუშინდებით, პირიქით, იმას შევაშინებთ ხოლმე ჩვენი სისხლისმწოდვარის ალლოთი და სწრაფი მიხრა-მოხრითა და მოსაზრებით. რასაკვირველია, აღამიანს ჩვენზე მეტი მოსაზრება და მოხერხება აქვს, იმას მაინცა და მაინც ვერ გავუმკლავდებით, თუ მტრულად მოგვეპყრობა ხოლმე, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მას ჩვენთან სამტრო ბევრი არაფერი აქვს, თუ იმას გაითვალისწინებს და ჩაუფიქრდება, თუ რამოდენად სასარგებლობა აღამიანისთვის ჩვენი სიცოცხლე მით, რომ უამრავ მის მტრება და ორგულს ვუმქლავდებით და ვსპობთ ხოლმე. თაგვი და ვირთხა რომ არ ჩათვალოთ. ის რად უნდა ულირდეს აღამიანს, რომ ყოველგვარ მავნე ჭიალუასა ვსპობთ ხოლმე! კვერცხიპარის გვეძახიან. მართალია, კვერცხი ძალიან გვიყეარს და გავხვეტო თუ არა მის ნაჭუჭს. ისე ამოგსვლებავთ, რომ წვეთსაც არ ჩავტოვებთ და, თუ იქ ყველა ვერ შევსვლიპეთ, შინაც წავილებთ ხოლმე, ჩვენს ხორცისა და ფულუროში. სამაგიეროდ, როცა აღამიანის მოსის-ხლოე მტრებს მოვაჯდები ქაჩჩე, სისხლს ამოგსვამ და შევსან-სლავ კიდევც,—ეს ხომ კარგი და სასიამოვნოა!


ხუთი კვირის სიმძიმის შემდეგ, მაისში და ივნისში თითო დედალი დედოფალა ჰშობს ხოლმე ხუთს ან შვიდს, ხანდახან რვას და ზოგჯერ სამს ბრმა კნუტს, რომლებსაც დედა ჯერ ძუძუს აწოვებს და შემდეგ შინაურის, ტყისა და ველის ცოცხალ თაგვებითა ჰკვებავს. დედა თავგამეტებით უვლის შეილებს, ზრდის, სწროვნის. ასწავლის ჩვენს ზნესა და ადათებს. პატარებიც თვისი ლალობით, სწრაფი მიხრა-მოხრითა და სილამაზით სიამოგნებასა ჰგვრიან არა თუ თვის მშობლებს, არამედ ყოველ მაყურებელს, ვინც მოყვრულად შეხედავს ამ ლამაზ ქმნილებათ. თუ ვისმე მოუნდება ამ პატარების შინწაყვანა და გაზრდა, იცოდეთ, რომ ბევრ სიამოვნებას აგებებს. მით უმეტეს, თუ ჯერ კიდევ ძუძუმწოდვარს აიყვანს

და კნუტებიან კატას აჭმევინებს ძუძუს. ცელქი ქმნილება ისე შეეჩევა აღამიანს, ისე შეიყვარებს, რომ არაოდეს არ გან შორდება და ნამდვილ მეგობრობას გაუწევს. თუ იმ დღეს ვეღირსეთ, რომ აღამიანმა შეიგნო ჩვენი სარგებლობა, შეავითვისა და შეგვიყვარა, მაშინ ჩვენც შევეცდებით მას სარგებლობის მეტი არა ვუყოთ რა და ურთიერთი კავშირიც გამტკიცდება. მანამდი კი, მშვიდობით, ჩემო მეგობრებო, თქვენ თქვენ და მე—ჩემდა!

იგანე ელიაშვილი.




მაისი 20.



ყოველ წელიწადს საქართველოში ყველგან, უნდა იღლება სასწაულოან ბავშებმა მაისის 20. ეს დღე არის ბავშების საზეიმო დღე, რომელიც ყველა ბავშს უნდა უყვარდეს, უნდა ცუილობდეს ლირსეულად შეხვდეს მას. ლირსეული შეხვეჯრა იქნება, თუ ყოველი ბავში მიეკებება მას პირნათლად, წმინდა სინიდისით, იმ გრძნობით, რომ მან წლის განმავლობაში უძასრულა თავისი მოვალეობა. მაისი არის უშეუნიერესი თვე მთელი წლის განმავლობაში. იგი საუცხოოდ შეამკა ბუნებამ მწვანითა და ფერად-ფერადი ყვავილებით, მზის შუქით, მხიარულად მოჭირებით ფრთისნეათა და ცოცხლად მოფუსტუს ცხოველებით. მასი უყვარს ყველ სულიგმულს, მაისი არის ბავშების საზეიმო თვე, რაღგანაც ამ თვეში არყვევენ ისინი თავის ერთი წლის სწავლისა და მაქტედების შედევს და გრძნობენ ფაზიურ ზრდასთან ერთად, თუ ჩატარებად გაიზარდენ სულიერად.

მაისის 20 უნდა იყოს საფუძველი და პირაბა ბავშებს შორის დადგენული, რომ მომავალში მათი ცხოვრება იქნება ნათელი, საქმიანი და სიყვარულიანი.

მაისი ნათელი მზის შუქით და შვენებით სავსე მაგალითს გვაძლევს ჩვენ, რომ ჩვენი გულიც მასავთ ნათელი სიყვარულით სავსე იყოს.





გავუგის პირველი დღესასწაული საქართველოში.

მაისის 20-ს საქართველოში პირველი დ იმართება საბავშო დღესასწაული. ამ დღეს საქართველოს მშრომელთა წინაშე პირველი გამოვლენ ბავშები საზეიმოდ ქუჩებში. გამოვლენ მუყობრად, ორგანიზაციული და იმ სიხარულით, რომელიც შედეგია ნორმალურ პირობებში მათი სწავლისა და საკუთარ ცხოვრების კოლექტიურა შენებისა. ამ დღეს ისინი გამოსახვენ და დაამტკიცებენ დიდ სიყვარულს და მაღლობას ხელმძღვანელებისადმა, რომლებიც დაუდალავად და დაიდი გერგიით მუშაობრივ შრომის ასპარეზზე.

შეორე მხრივ ისინი გაამხენ ევებენ და გაუორკეცებენ ენერგიას და რწმენას ახალგაზრდა კომევზირის წვრებს; ახალგაზრდა ამანაგები დაინახავენ ბავშებში იმ მომავალ ძალას, რომელიც თანდათან შეავსებს კომევზირის რიგებს, მრსცემს რა მათ მრავალ ახალგაზრდა ამხანაგს, აღზრდილს ახალ პირობებში.

ამ დღესასწაულს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ ის იმართება სასწავლო წლის ბოლოში, როცა ბავშებს თავისუფლად შეუძლიათ სთქვან, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მათ მისცა შესაძლებლობა ნორმალური მუწნიერებისა, და რიგმ ეს შესაძლებლობა მათ მიერ მაქსიმალურიდ იქნა გამოყენებული; მათ შეუძლიათ სთქვან, რომ ისინი სკოლის ნორმალურ ცხოვრების დაურღვევლად პირველი ამ ათი წლის განმავლობაში შეცადინეობენ ასე ხანგრძლივად და იმეცა-

დინებენ კიდეც იქამდი, სანამ არ შეასრულებენ ამ სასწავლო
წლის 100%, დავალებას.

სასიხარულო იქნება ეს დღე ბავშებისათვის, სასიხარულო
უნდა იყოს იგი საბჭოთა დაწესებულებათა პროფორგანიზა-
ციებისა და მით უმეტეს ჩვენი პარტიისათვის.

ამ დღეს ჩვენი ბავშობა, როგორც ერთი, ერთვნების,
საქმის და წლოვანების განურჩევლად, ჩვენ პატარა რესპუბ-
ლიკაში—საქართველოში ისე იგრძნობს თავს, როგორც თა-
ვის ოთახში.

თავის მხრივ სახლობო განათლების კომისარიატის სოცია-
ლურ აღზრდის მთავარმმართველობა სთხოვს ცეკას, ტფილი-
სის კომიტეტს, ახალგაზრდა კომკავშირს, სახალხო კომისართა
საბჭოს, აღმასკომს, პროფკავშირთა საბჭოს და წითელ არ-
მიას და სხვა დაწესებულებებს, რომელთა ზრუნვით ჩვენ შევ-
ძელით მოგვეწყო. ჩვენი ბავშების ნორმალური ცხოვრება,
რომ ეს დღე მთლიანად შესწირონ მათ ბავშებს, დილით უნ-
და ნახონ ბავშების დემონსტრაცია, გაამზნეონ ისინი სკო-
ლებში, საბავშო სახლებში, სადაც ბავშების მიერ გამართული
იქნება ლიტერატურული საღამოები და სხვა გასართოები—
მათი დაწესებულებების დეტონსირაცია.

მეტი ყურადღება, ზრუნვა და სიყვარული ჩვენს ბავშებს,
ჩვენს მომავალს — ჩვენს ახალ თაობას!

ყველა ბავშების დღესასწაულზე!

ყველა ბავშებთან სტუმრად!

მარიამ ორახელაშვილი.

ბავშების დღესასწაული.

20 მაისი — ეს ბავშების დიადი დღესასწაულია, დღესას-
წაული ბავშების ერთობისა, ძმობისა და სიყვარულისა. ამ
დღესასწაულისთვის დანიშნულია ყაველ წელს გაზაფხული—
მაისი, როდესაც ბუნება დამტებარია ყვავილთა სურნელებით,
როდესაც მთა და ბარს სიხარულით და სიცოცხლით ავსებს
ფრინვლების ურიანობისა და ჩანჩქერ-ნაკადულთა ჩხრიალი.

ბავშებიც ხომ ყვავილებია მოძავლისა, რომელთა სახეზე იფურჩქება სიცოცხლის გაზაფხული და სიხარული. ვინ იქნება, აღტაცებაში არ მოვიდეს, როდესაც ხედავს ურიკვე ბავშებს, რომელნიც სიცოცხლით სავსე თვალების ცქრიალით, სიხარულის გამომეტყველებით და ერიამულით მიემართებიან ქუჩებში. ვინ იქნება, ამ დროს არ წამოიძახოს: „ვიშ, რა ზეენიერებაა“!

„ჩვენ გქმნით მომაგალს, ახალს ცხოვრებას“...

„არ არიან ქუჩის ბავშები, არის მხოლოდ ბავშები რესპუბლიკისა“...

„მეღგარ მებრძოლებს, ჩვენ წინამდლოლებს, ახალგაზრდობის შესცვლის ლაშეარი“

აი, ლოზუნგები, რომელნიც თავდებით ბავშთა მჭიდრო კავშირისა და ერთობა-სიყვარულისა. ასეთ კავშირს და ერთობას უყრის საფუძველს ბავშთა დღესასწაული, რომელსაც მე აგიშერთ ახლა.

ოცი მაისია. შვენიერი მზიანი დღე. ტფილის ირგვლივ ამწვანებული მოები აშვენებენ. შიგ ქალაქში ბალები ულრან ტყეს დამსგავსებიან ხშირი—ზურმუხტი ფოთლებით დატვართულნი და აღსავსე ფრინველთა ერიამულით. ბავშები მწყობრად, მხიარული გამომეტყველებით მიემართებიან თავისუფლების მოედნისაკენ. ყველა თავისუფლების მოედან. ზე! აი, კიდეც გროვდებიან: ბავშები შკვირცხლი, ანკარა მდინარეებივით ედინებიან ყოველი ქუჩიდან მოედანს და კეთდება ვრცელი ზღვა ცოცხალი ყვავილებისა, ბავშებისა. აი, უკვე აივსო მოედანი ბავშებით, ბავშების ზღვა გაიშალა, აჭრელებული წითელი დროშებით, ლოზუნგებით და ყვავილებით. აქა—იქ ამ ბავშთა ზღვაში მოხანან ხელმძღვანელები. გრიალებს მუსიკა. უცებ გაისმა მძლავრად: „სმენა!“ და ყველაფერი წყნარდება. იწყება მილოცვები. სიტყვებს ამბობენ დიდები, სიტყვებს ამბობენ ბავშებიც, ესალმებიან ამხანაგებს, საზოგადოებას. გაისმის ვაშა და ტაშის გრიალი. გადის დრო და ბავშები ყველა ერთ მწკრივად დაეწყობიან და დაიძგრიან რუსთავლის პროსპექტით. რა შვენიერი სანახავია ეს ვეებერთელა ცოცხალი მდინარე, რომელ-

საც ძლივს ოტევს ქუჩის ნაპირები, მდინარე მიღის შვირ-
 ცხლი რხევით, ლოზუნგებით, დროშებით და ყვავილებით
 ახუჭუჭებული. გაივლიან რუსთავლის პროსპექტს და ვერის
 დაღმართით გასწევენ პლეხანოვის პროსპექტისაკენ, აქედან
 კი ყველა გასწევს შინისაკენ.

ასე თავდება დღესასწაულის პირველი ნაწილი. საღამოს
 დღესასწაული ისევ განახლდება. ნაწილი ბავშებისა კინ-
 თეატრებში მიემგზავრება, სადაც მათ საბავშო სურათებს უჩვე-
 ნებენ; ნაწილი ტანთვარჯიშობის დღესასწაულზეა მიწვეული. მათ
 საყვირისა და დოლის ხმებით იპატიურებენ ბავშებს. ის, ჩამო-
 ვარდა სიწყნარე. აუარებელ სხვადასხვა ვარჯიშობას ასრუ-
 ლებენ მუსიკის ხმაზე. თავდება ერთი წყება ვარჯიშობისა.
 იგრიალა ტაშმა და გაისმის ვაშას ძანილი. ბავშების აღტა-
 ცებას საზღვარი არა აქვს. კიდევ ვარჯიშობა. კიდევ ტაში
 და ვაშა, და ასე ბოლოობი. დასასულ შუშეუნების ცეც-
 ხლის წვიმა დღეთ აქცევს ღამეს. ზოგიერთ საბავშო სახლში
 და სკოლაში დაიდგა წარმოდგენები, რომელთაც ბავშების
 მიერ მოპატიურებული საზოგადოება დაესწრო და ძლიერ ნა-
 სიამოვნებიც დარჩა.

ასე დასრულდა პირველი დღესასწაული ბავშთა ძმობა-
 გრობა-სიყვარულისა—ბავშების მაისის დღესასწაული.

3. 8.



საბავშვო თეატრი.

სახალხო განათლების სოციალურ აღზრდის მთავარ მართველობამ პრიოლის შეუარცხვებში წითელ არმიელთა ცენტრალური კლუბის შენობაში გახსნა სახელმწიფო საბავშო თეატრი.

თეატრის გახსნის დღეს, წარმოდგენის დაწყების წინ სოციალური აღზრდის მთავარ მართველობის გამგებ მარიამ ორახელაშვილისამ მიმართა თეატრში შეკრებილ ბავშებს მისასალმეცელი სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა საბავშო თეატრისა და ბავშების შორის მჭიდრო კავშირის გაბმის საჭიროება. მან აღნიშნა, რომ ბავშები არა მარტო უძროვებო მაყურებელი უნდა იყვნენ წარმოდგენებისა, არამედ ისინი ყოველ წარმოდგენას შევსების თვალით უნდა უყურებდენ, უნდა აღნიშნონ დადგმული წარმოდგენის ნაკლიც და ღირსებაც, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ და რატო. ერთი სიტყვით, ბავშებმა უნდა გამოიჩინონ თავისი გემოვნება და შეფასებას უნარი თავისი წრფელი ბუნების მოთხოვნილების თანახმად, ამით ისინი ხელს შეუწყობენ ჰეშმარიტი საბავშო თეატრის შექმნას. ბოლოს მოუწოდა მათ წესიერება დაიცვან წარმოდგენების ჯროს და უდროო დროს შეუფერებელი, უალავნებობას—სიცილით არ შეუშალონ ხელი წარმოდგენის წესიერად ჩატარებას.

ამასთანავე ამხ. ორახელაშვილისამ იღუთქვა მათ ყოველგვარი დახმარება, რომ საბავშო თეატრი განვითარდეს და სათანადო სიმაღლეზე იდგეს.

გახსნის დღეს დადგმულ იქნა ორი პიესა: ქართულად— „ჯადოსანი წკეპლა“ და რუსულად „სახიფათო ჩვეულება“.


ამას შემდეგ სეზონის განმავლობაში დაიდგა შემდეგი პიესები: ქართულად: „მზეთუნახავი“, „ჯაღოსანი წკეპლა“, რუსულად: „სახიფათო ჩვეულება“, „ზღაპარი ერთი ზარმაცის შესახებ“. და მოლიერის კომედია „სკაპენის ცუდლუტობა“.


სპექტაკლების გარდა ორჯერ გაიმართა კინო-თეატრი განსაკუთრებული საბავშო შინაარსის სურათებით. ბილეთების ფასი 40 ათას მანერს არ აღემატებოდა.

ყოველ კინო-წარმოდგენის დროს განსაზღვრული რაოდენობა ბილეთებისა ურიგდებოდა უფასოდ ღარიბ, შეუძლობავ შებას.

სეზონის განმავლობაში საბავშო სახელმწიფო თეატრი ინახული ხუთი ათას ცხრაას სამოცდაათმა ბავშვა. ამთვან საში ათას რვაასმა უფასო ბილეთით ისარგებლა.

ამ უად სეზონი დახურულია. სალიტერატურო სამხატვრო სექცია იმუშავებს ზოგად გეგმას მომავალი სეზონის მუშაობისათვის, რათა საბავშო თეატრს შემთხვევითი ხასიათი არ ექნეს, არამედ იქ მუდმივად იდგმებოდეს პიესები ქართულსა, რუსულსა და სომხურს ენებზე. თეატრს ეყოლება მუდმივი კადრი მსახიობებისა.





- შეითხველის — — წერილები.

ს ა ლ ა მ უ რ ი.

ერთ შეენიერ ზაფხულის დილას მეცხვარეს შემოეშალი
 ცხვარი ზურმუხტის ფრად ამწვანებულს მთაზე და ნელ-ნელა
 მიერეკებოდა მის წვერისკენ. რამდენსამე ხანს შემდეგ
 ცწია მიზანს, გადმოხედა ცხვარს მაღლიდან და, როდესაც
 დარწმუნდა, რომ სახიფათო არა იყო რა, მოიხსნა გულა-ნა-
 ბადი და ჩამოჯდა იქვე პატარა ბეჭობზე. გვერდით მოუჯდა
 ორი დიდი ძალლი. შვენიერი სანახავი იყო ამ დროს ეს სუ-
 რათი: ამწვანებული ბალანი, ათასფრად აშლილი და აჭრე-
 ლებული ყვავილები, ზედ მარგალიტივით დაპკურებული დი-
 ლის ნამი, ქვევით, ცოტა მოშორებით, ქანიორა, პატარძალ-
 სავით მორთულ-მოკაზმული გაფოთლილი ტყე, შიგა და შიგ
 მწვანედ, ხავერდის ფრად მობიბინე ველები, ხევში მოუსვე-
 ნარი პატარა არაურაკებული მთის წყარო, ლურჯად მოკამ-
 კამე ცა, თეთრად შემოფანტული ცხვარი, აქა-იქ ბულბულის
 ტკბილი სტვენა... უცბად შეწყდა ყოველივე ხმაურობა, თით-
 ქოს ბუნება მოელოდა რაღაც სასიამოვნოს. ამ დროს ბუ-
 ნების სიშვენიერით და სიკეკლუპით აღტაცებულმა მეც-
 ხვარემ ამოილო ჯიბიდან სალამური, მოიმართა ხელში და
 დაიწყო დაკვრა. ეს ხმა იყო ისეთი გულის წარმტაცი, ვარა-
 მის გამქარვებელი ხმა, რომელიც გულქვეს გულს მოულ-
 ბობდა და მელოვიარეს დუხჭის გაუქარწყლებდა. იქვე შო-
 რი-ახლო, ტყეში, პატარა ველზე გამოსულიყო ყელ-ყურ ლა-
 მაზი, მკვირცხლი, გიჟი, მოუსვენარი ირემი თავისი პატარა
 ნუკრით და ბალას სძოვდა, თან ცქვიტად აქეთ-იქით იყუ-

რებოდა. უცბად მას სალამურის ჯადოსნური ჰანგი მოესმა, ფიცხლავ ასწია თავი მაღლა და სმენად გადაქცეულმა ყური მიაპყრო. სალამურის გრძნობიერმა ხმამ მოხიბლა ირეში, დაანებებინა თავი ბალახის ძოვნას და სმენად გადაქცია, ისე, რომ ირემმა ვერც-კი გაიგო მტრის მიახლოვება, რომელიც ოციოდე ნაბიჯის მოშორებით იყო ჩასაფრებული და თავ ჩალუნული ყურს უგდებდა სალამურის მომხიბვლელ ხმას. სალამურის ჯადოსნურმა ხმამ სიბრალულის გრძნობა აღუძრა გულში ჩვენს მონადირეს. მოაგონა თავისი თავი ამისთანავე მდგომარეობაში, როგორშიაც იმყოფებოდა ირემი, მოაგონა გშობლები, შვილები და სხვა. ველარ გაუძლო ამგვარ მწუხარებას, აღლო თოფი და გაისროლა ჰაერში. თოფის გრიალით შეშინებული ირემი შევარდა ტყეში თავის ნუკრით და მიიმალა. მონადირემ წამოიკიდა თოფი და დაფიქრებულმა შინისკენ გასწია.

I შრ. სკოლის მოწაფე არჩ. ზაქარიაშვილი.

მუინგარი.

მაღალ მოებს შუა,
 თოვლით და ყინვით სულ დაფარული,
 ამაყად, მკაცრად, წარბ-შეჭმუხვნილი,
 დაფიქრებული დგას იქ მყინვარი.
 არწივის გარდა იქ არ ასულა
 ჯერ აროდეს ვინმე ცოცხალი.
 ჰოი, მყინვარო!

შენმა კალთებმა ვერცხლი მოჰტინა მოელ საქართველოს.
 ჩვენო მყინვარო, მოელ ჩვენი ხალხის ხარ სიამაყე—
 და ყველა ქართველს გულით უყვარხა!
 შენ დიდებულ შუქს გულში ვინახავთ!

— მე-5 ჯგუფის მოწაფე ოთარ.



თეატრი და განვითარება.

როგორც მოგეხსენებათ, თეატრი არის განვითარების ერთერთი საშუალება და ამიტომ თეატრები ძალიან გავრცელებული არიან ყველა ქვეყნებში, აგრეთვე საქართველოშიც; მაგალითად, ქ. თბილისში არის საოპერო, რუსთაველის და სხვა თეატრები. საყურადღებო ის არის, რომ მათ შორის არის საბავშო თეატრიც, წითელ-არმიელთა კლუბი, საღაც იდგმება პიესები ქართულ და რუსულ ენებზე. ეს თეატრები ავითარებს ბავშებს. მე ამ თეატრში დავვსწარი რამდენსამე პიესას და სხვათაშორის ძალიან მომეწონა მოლიერის პიესა „სკაპენის ცულლუტობა“. ამ პიესის ავტორი გვითასიათებს ჩვენ საფრანგეთის ძველ თავადებს და აზნაურებს და დასკინის მათ. სკაპენის როლს შვენივრად ასრულებდა მხახიობი მესხეთელი. საზოგადოდ მთელი პიესა კარგად იყო წარმოდგენილი. დარბაზი სავსე იყო ბავშებით, რომელიც დიდი სიამოვნებით, სულ-განაბულნი ყურს უგლებდენ წარმოდგენას.

ამხანაგებო ბავშებო, დაესწარით ხოლმე ამ წარმოდაენებს! ბილეთები იაფია. დაესწარით იმ აზრით, რომ სულ მოკლე ხანში გაუმჯობესოთ წარმოდგენების დადგმის საჭმე, შევიძინოთ საჭირო კარგი დეკორაციები.

გაუმარჯოს საქართველოს შვილების განვითარებას! გაუმარჯოს საბავშო თეატრებს! გაუმარჯოს ბავშებს!

მე-1-თე ჯგუფის მოწ. დათიკო თარხნიშვილი.

მაურიებლის შეიიშვნა საბავშო თეატრზე.

საბავშო თეატრის გახსნის მიზანი იყო განვითარებინა საქართველოში ბავშები, ასე გამოაცხადა და მოგვიწოდა თეატრის მომწყობმა პირველ წარმოდგენის გამართვის წინ. ამასთანავე ჩვენ გვითხრეს, რომ ყოველთვის გამოგვეოქვა ჩვენი აზრი წარმოდგენების შესახებ, რომ გაეგოთ, თუ რა გვაინტერესებს ჩვენ, ბავშებს, რა მოგვწონს და რა არა. უკანასკნელად დადგეს მოლიერის პიესა: „სკაპენის ცულლუტობა“. მწერალი

ამ პიესაში გვიხატავს ერთ ეშვაკ კაცს, რომელიც თავის ონეგიო ეხმარება ახალგაზრდა ყმაწვილ კაცებს, რომელიც მამები თავის სიძუნწის გამო არ აძლევდენ ნებას ცოლების შერთვისას. ეს პიესა ძალიან ლამაზი იყო. დავინახეთ, როგორ ფიქრობდა და იცვამდა ხალხი ასი წლის წინად, როდესაც ეს პიესა დასწერა მოლიერმა.


პირველად, გახსნის დროს იქ დადგეს ერთი შესანიშნავი პიესა. მას ერქვა „ჯადოსანი წკეპლა“. სცენაზე გამოვიდენ სხვადასხვა წიგნში აწერილი გმირები, პატიოსანი ინდოელი ჩინგაკუკი, ეშმაკი წალებიანი კატა, ავაზაკი და სხ., მაგრამ ვისაც ის წიგნები არა აქვს წაკითხული, სადაც ეს გმირებია აწერილი, იქნება ვერც კი გაიგოს პიესის შინაარსი. ნუ თუ არ შეიძლება კუპერის თხზულებანი გადმოითარებნოს ქართულად! მაშინ პიესა „ჯადოსანი წკეპლა“ ყველასათვის უფრო გაიაფებო იქნება.

წარმოდგენის დროს სუფლიორი ისე ყვიროდა, რომ მთელ ღარბაზში ისმოდა.

წარმოდგენის ბევრი ბავში დაესწრო.

*საშემდეგ ჭაბავში თეატრი საყვარელ დაწესებულებად
გადაიქცევა.*

მე-1 ჯგუფის მოწ. ოთარ.



განათლების სახალხო კომისარის დირექტორის სოციალურ აღზრდის მთავარ-
 მშენებელის სალიტერატურო სამხატვრო ხელშეღვანე-
 ლობით გამოცემულ საყმაწვილო წიგნების სია.

ფასი

1—5.	„ნაკადული“ 1921 წ. № № 1, 2, 3, 4, 5 თითო წიგნი	10 კ.
6—7.	„ნაკადული“ 1922 წ. № № 1—2, 3—4	10 ”
8.	„ჯეჯილი“ 1921 წ. № 1	15 ”
9.	„ჯეჯილი“ 1922 წ. № 1—2—3	25 ”
10.	„ნორჩი ძალა“, — კრებული	10 ”
11.	„სამი ამბავი“, — შიო მღვიმელისა	6 ”
12.	„კოკროჭინა“, — ღ. ლონდუასი	6 ”
13.	„ბელა ბეკეკა“ ” ”	6 ”
14.	„შემოდგომა“, ფერად სურათებიანი წიგნი	40 ”
15.	„დედაბერი, ტუჩა და მელია კუდი გძელია“ ფერად სურათებიანი წიგნი	30 ”
16.	„ბავშვებს“, — გ. ქუჩიშვილისა	12 ”
17.	„ტყის ზღაპარი“, — მამინ სიბირიაკისა თარგმანი ლ. იმნაძისა	12 ”
18.	„ტყის სურათები“, — შიო მღვიმელისა	15 ”
19.	„კიან ჭველას საოცარი თავგადასავალი“	20 ”
20.	„თავისუფალ ბავშთა სიმღერები“	2 ”
21.	„ქართული მოძრავი თამაშობანი“ შედგენილი მერქვილაძის შიგრ	40 ”
22.	„ტრიადის ოში“, — ალ. მიქაბერიძისა	40 ”
23.	„იგავ-არაკნი“, — ალ. მირიანაშვილისა.	20 ”
24.	საბვშო პიესათა კრებული“	45 ”
25.	„ივანე სულელი“, — ზღაპარი. ლ. ტოლსტოისა თარგმანი ი. ნ.—ისა	10 ”
26.	„ლურჯი ფრინველი“	35 ”
27.	„ნაკადული“ 1923 წ. თითო №	15 ”
28.	„ჯეჯილი“ თითო წიგნი	25 ”
29.	„ზამთარი“ — ფერადი სურათებით	30 ”

1923 წ.

მიღება ხელის მოწერა საუძღვილო დასურათებულ
ქურნალებზე:

მოზრდილ. „**ჭ ე ჭ ი ლ ი**“ მე-XXXIV წ.
გამოდის ორ თებერ ერთხელ.

მცირეწლოვ. „**ნ ა კ ა ზ უ ლ ი**“ მე-XIX წ.
გამოდის უოველთვიურად.

ქურნალი გამოდის განათლების სახალხო კომისა-
რიატის სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობის
სალიტერატურო სამსატერო სექციის ხელმძღვანე-
ლობით.

ხელის მოწერა მიღება თვიურად.

ცალკე „**ჯ ე ჯ ი ლ ი**“ 25 კ.

„**ნ ა კ ა ზ უ ლ ი**“ 15 კ.

ქალაქ გარედ გაგზავნა ხელის მომწერის ხარჯზე.

მისამართი: თბილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, № 5, განათ-
ლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „ჯ ე ჯ ი ლ ის“
რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.